ჯონი კვიციანი

ეროვნული უმცირესობანი საქართველოში

XX - XXI სს.

(ეთნიკური ოსები და სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის პრობლემები)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

ნაშრომში ,,ეროვნული უმცირესობანი საქართველოში XX-XXI სს.” ეთნიკური ოსების მაგალითზე ავტორი აანალიზებს ქართულ სოციუმში მათი სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის პრობლემებს. ნაჩვენებია, რომ საბჭოთა მოდერნიზაციის პირობებში საზოგადოებაში რეალურად შექმნილი ვითარება დეზინტეგრაციისკენ მიდიოდა. ავტორის აზრით, ამჟამად პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის (დამოუკიდებლობის) პირობებში განსხვავებულ სურათს ვხედავთ. ავტორი მიიჩნევს, რომ შესაბამისი სამთავრობო და საზოგადოებრივი პოლიტიკის გატარების შედეგად (საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მიერთება და მათი მოთხოვნების ცხოვრებაში გატარების პრაქტიკა) საქართველოში წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობები ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი სოციუმის ორგანულ ნაწილად გარდაიქმნებიან. მისი აზრით, ამ ახალ ზეეროვნულ, ნაციონალურ სამოქალაქო გაერთიანებას შეიძლება ,,ქართველიანი'' (მრავლობითში ,,ქართველიანნი'' ან ,,ქართველიანები'') ვუწოდოთ.

© ჯ. ჯვიციანი, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი", 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-272-4

შესავალი

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, მას შემდეგ რაც საქართველომ (ქართლ-კახეთმა) დამოუკიდებლობა დაკარგა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ადაპტაცია და ინტეგრაცია ერთიან ქართულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში პრობლემურ ხასიათს ატარებს. ცარიზმის რუსეთი საქართველოში, რუსულ კულტურაზე დაყრდნობით, ახორციელებს თავის „ცივილიზაციურ მისიას“. ადგილობრივი, ქართული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა, რომელიც ელოდა გარდაქმნებს (იხ. იოანე ბატონიშვილის „სჯულდება“), გაუქმდა. ქვეყანაში, კოლონიური რეჟიმის პირობებში, აგრარული ცივილიზაციიდან ინდუსტრიულზე გადასვლისას გაწყდა სოციოკულტურული მემკვიდრეობითი ძაფი, რომელსაც ადაპტაციის საფუძველზე ახალი ინდუსტრიული ცივილიზაცია ადგილობრივ ნიადაგზე უნდა ჩამოეყალიბებინა.

საქართველოში დღეს პრობლემად რჩება, თვით ქართველები რამდენად არიან ადაპტირებული და ინტეგრირებული არა მარტო თანამედროვე ინდუსტრიულ, არამედ უკვე ინფორმაციულ ცივილიზაციურ სოციალურ-კულტურულ სივრცეში. მისი ფორმირება ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურობაზე და ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ახალ ქართულ სოციოკულტურულ გარემოში ადაპტაციასა და ინტეგრაციაზე.

საზოგადოების ინტეგრაციას, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში, ალტერნატივა არ გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იღუპება. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოში ოსების და ზოგადად ეროვნული უმცირესობების როლი და ადგილი ახალ ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, “ზეეთნიკური” სოციუმის ფორმირების პროცესში, რომელსაც პერსპექტივაში, პირობითად ,“ქართველიანი” (მრავლობითში „ქართულიანნი“ ან „ქართველიანები“) შეიძლება ვუწოდოთ.

ასეთი პერსპექტივის იმედს იძლევა ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოში მომხდარი თუნდაც ორი თვალში საცემი ფაქტი: პირველი, 90-იანი წლების დასაწყისში ცხინვალში კონფლიქტის შედეგად 100 ათასზე მეტმა ეთნიკურმა ოსმა იძულებით დატოვა საქართველო და მეორე, 2008 წლის აგვისტოში ამავე რეგიონში მომხდარი მოვლენების შედეგად

არც ერთ ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეს საქართველო არ დაუტოვებია და ოს მოსახლეობასთან რაიმე "გაუგებრობას" ადგილი არ ჰქონია.

ისტორიულად საქართველოში ოსები ის ეროვნული უმცირესობაა, რომლებიც სხვებთან შედარებით ქართველებთან ყველაზე ინტეგრირებული არიან. მათ მიერ ქართული ენის ცოდნა, ქართულ-ოსური შერეული ოჯახები, საერთო რელიგიური კუთვნილება და ა. შ. ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, ყოველივე აღნიშნული ეხება არა მარტო იმ ეთნიკურ ოსებს, რომლებიც XX საუკუნეში (1921) ბოლშევიკების მიერ დაარსებულ ე. წ. „სამხრეთ ოსეთში" ცხოვრობდნენ, არამედ მეტწილად იმ უდიდეს ნაწილს, რომლებიც მის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლეობენ (ცნობილია, რომ 1989 წელს ჩატარებული საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ბოლო აღწერით, საქართველოში 164.055 ოსი ცხოვრობდა, აქედან 64 ათასი ცხინვალის რეგიონში, დანარჩენი – საქართველოს სხვა რეგიონებში).

ისტორიოგრაფიაში ფართოდაა გაშუქებული საქართველოში ოსების გადმოსახლებისა და ქართველებთან მათი თანაცხოვრების საკითხები. ვინაიდან მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში საქართველოში ეროვნული უმცირესობების სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის პრობლემა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში აისახება, შესაბამისად, მათი გადაჭრის გზები რადიკალურად განსხვავებულია, ამიტომ ისტორიოგრაფიული ნაწილი საჭიროდ ჩავთვალეთ ორ თავში ცალ-ცალკე წარმოგვედგინა.

საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის 1916 წლის ისტორიული მიმოხილვა, სადაც ის ხაზს უსვამს საქართველოში ოსების ჩამოსახლების ორ ეტაპს: პირველი – XIII საუკუნე, როდესაც ისინი თათარ-მონღოლების რაზმებში იყვნენ შერეულები და მათ უჭერდნენ მხარს. მოგვიანებით ისინი მეფე გიორგი ბრწყინვალემ, თვითნებობისა და სხვა მიზეზთა გამო, საქართველოდან გააძევა. მეორე ეტაპი ეს არის XVI-XVII საუკუნეთა მიჯნა, როდესაც ქართლის მეფე სვიმონი ხელს უწყობს ოსების ჩამოსახლებას საქართველოში. ავტორი ხაზს უსვამს და მოაქვს ბევრი ემპირიული მასალა ქართლის მეფის და ზოგადად ქართველების ამაგზე ეკონომიკურად გაჭირვებულ ოსებზე [ჭიჭინაძე, 1916].

ზოგი მეცნიერ-ფალსიფიკატორი, განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იან წლებში, ცდილობს „დააძველოს“ ოსების ჩამოსახლების ისტორია საქართველოში და ქართული დვალეთის ოსურ კუთვნილებაზე მიანიშნებს [გაგლოითი, 1996; ძიძოევი, 2002].

ყოველივე ამის საპასუხოდ ბოლო დროს დაიწერა არაერთი არგუმენტირებული სამეცნიერო ნაშრომი [თოფჩიშვილი, 2006; 2009; ითონიშვილი, 2002]. საინტერესოა რ. თოფჩიშვილის მოსაზრება, რომელიც საქართველოში ოსების მიგრაციის შემდგომ, მათი განსახლების ისტორიას, მათ შორის ენობრივ საკითხს, სამ პერიოდად ჰყოფს. პირველი პერიოდი იყო ოსების ცხოვრება ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში. ზუსტად ამან განაპირობა, ხაზს უსვამს რ. თოფჩიშვილი, ქართული ენის პატივისცემა, მისი შესწავლა. მეორე და მესამე პერიოდებში (ცარიზმისა და საბჭოთა იმპერიების პირობებში), პირიქით, დაიწყო ქართველებთან ოსების გაუცხოება [თოფჩიშვილი, 2009: 31].

ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის „ოსურმა პროექტმა“ დაღუპა ქართულ-ოსური ურთიერთობები. განსაკუთრებით უარყოფითად იმოქმედა მან ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებზე. საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკა განსაზღვრავდა პოლიტიკური, ტერიტორიული და ადმინისტრაციული ცხოვრების ფორმას, რომლის ჩარჩოებშიც მიმდინარეობდა საბჭოთა ხალხების სოციალური განვითარება. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნა გამოწვეული იყო უფრო კრემლის გეოპოლიტიკური ინტერესებით, ვიდრე ხალხთა თვითგამორკვევის უფლების სამართლიანობის მოთხოვნით (ცნობილია, რომ ამ მიზნის განხორციელება ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ოსებთან არის დაკავშირებული). კონკრეტულად, კრემლისათვის თუ რა გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებდა და ატარებს დღეს „Феномен двуединой Осетии“ (ორნაწილიანი ერთიანი ოსეთის ფენომენი), ამის შესახებ კარგადაა მოცემული ვადიმ ციმბურსკის ანალიტიკურ ნაშრომში [ციმბურსკი, 2001]. ავტორი დასკვნით ნაწილში სამართლიანად აღნიშნავს, რომ რამდენადაც ოსური საზოგადოება პრეტენზიას აცხადებს სუვერენიტეტზე, ეს „სუვერენობა“ საკუთარი პოლიტიკის გარეშე აღმოჩნდება, რაც პესიმიზმითა და სტაგნაციით იმუქრება. [ციმბურსკი, 2001, 173].

საქართველოს, როგორც სსრკ მოკავშირე რესპუბლიკასაც კი, არ ჰქონდა ფაქტობრივად უფლება საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიურ ოლქში განეხორციელებინა შესაბამისი მოდერნიზაცია კულტურის დარგში. ამას აღიარებს ვ. შნირელმანიც, რომელიც, რა თქმა უნდა, „რბილად“ ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიმდინარეობდა ქართული გავლენის ბრძოლა რუსულთან [შნირელმანი, 2003: 263]. ამასთან ერთად, შნირელმანი გადმოგვცემს „დაჩაგრულ“ ოსებზე, რომლებსაც ვითომცდა უმაღლესი განათლების მიღების პრობლემები ექმნებოდათ საქართველოში, და ამით თითქოს ოსურ ელიტას „გაქართველება“ ემუქრებოდა. რ. თოფჩიშვილი ამ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს, რადგან როგორც თსუ-ში, ისე საქართველოს თითქმის ყველა 18 უმაღლეს სასწავლებელში იყო რუსულენოვანი სექტორები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სათანადო განათლების მიღებას [თოფჩიშვილი, 2009: 100-104]. რაც შეეხება „ქართულ-რუსული“ გავლენის ბრძოლას საქართველოში, მე ამას დავარქმევდი „ენის კონკურენციას“. რა თქმა უნდა, ქართულს ამ შემთხვევაში სათანადო ადგილის დაკავების საშუალებას არ აძლევდნენ. ეს კარგად ჩანს შემდეგი ფაქტიდან: ცხინვალში ადგილობრივ მოსახლეობას, მიუხედავად ქართული ენის სწავლის სურვილისა (ადრე მათ ჰქონდათ დამწერლობა ქართული ანბანის საფუძველზე), XX საუკუნის 20-იან წლებში ჯერ ლათინური გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ოსური ანბანი, ხოლო შემდგომ, 50-იან წლებში, რუსული „კირილიცას“ საფუძველზე შექმნილი ანბანი დაუწესეს. საკმაო ფაქტობრივი მასალა აქვს გაანალიზებული ა. სონღულაშვილს, რაც ადასტურებს ქართული ენის პრიორიტეტსა და პოპულარობას ცხინვალის რეგიონში [სონღულაშვილი, 2001]. სამწუხაროდ, ქართულ ენას საკუთარ ქვეყანაში გასაქანი არ ეძლეოდა, რაც კარგად დასტურდება „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის მაგალითზე. უფრო მეტიც, 1978 წელს საქართველოში „ზემოდან“ დადგა საკითხი სახელმწიფო ენად რუსული ენის კონსტიტუციურად აღიარებისა. მაშინდელმა ქართულმა საზოგადოებამ საპროტესტო აქციებით კრემლს უკან დაახევინა...

საქართველოში ოსების ეროვნული ავტონომიურობის მშენებლობის პროცესს მიუძღვნეს თავისი შრომები ზ. ვანეევმა, ს. გაბარაევმა, ლ. თოიძემ, გ. თოგოშვილმა, ლ. ჩიბი-

როვმა და სხვებმა [ვანეევი, 1989; გაბარაევი, 1969; თოიძე, 1994; თოგოშვილი, 1988; ჩიბიროვი, 1994]. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს აკადემიკოსების მ. ლორთქიფანიძის და დ. მუსხელიშვილის ღია წერილი რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვ. პუტინისადმი. ამ წერილში მოცემულია შეფასება იმისა, თუ როგორ შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური წარმონაქმნი. ავტორებს მიაჩნიათ, რომ სტალინმა კი არ აჩუქა საქართველოს აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი, „არამედ საქართველოს შემადგენლობაში შექმნა ავტონომიური წარმონაქმნები, როგორც დაყოვნებული მოქმედების ბომბები, რომლებიც უნდა ამოქმედებულიყვნენ, თუ ქართველები ოდესმე გადაწყვეტდნენ დამოუკიდებლობას. როგორც ცნობილია, ამ „ბომბებმა“ კარგად იმოქმედეს. ასე რომ, ამ წარმონაქმნთა შექმნა საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული“ [ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, 2008]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1818-1920) ოსების ბოლშევიკურად განწყობილმა ელიტამ სამჯერ მოაწყო აჯანყება, ის, თუ როგორ იცავდნენ ქართველები თავის კანონიერ დამოუკიდებლობას, აისახა გ. ჟორჟოლიანის, ლ. თოიძის, ს. ლეკიშვილის, ე. ხოშტარია-ბროსეს შრომაში [ჟორჟოლიანი, თოიძე, ლეკიშვილი, ხოშტარია-ბროსე, 1995]. ინტერესს არ არის მოკლებული „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის შემსწავლელი კომისიის მუშაობა, რომლის შედეგად შეიქმნა მონოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის ისტორიაზეა საუბარი [ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, 1991].

ღიმილის მომგვრელია ოსი ავტორების ი. გაგლოითის, მ. ჯიოევის, მ. ჯუსოითის, კ. პუხაევის, ბ. ტეხოვის, ლ. ჩიბიროვის წიგნში „სამხრეთ ოსეთის ისტორიიდან“ მოტანილი დებულება. მათი აზრით, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა და 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა სხვა არაფერია თუ არა „სეპარატისტული იდეით შეპყრობა“. მათი აზრით, მენშევიკური ხელისუფლება (სხვათა შორის, გამოირჩეოდა დემოკრატიულობითა და შემწყნარებლობით ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობებში) ვითომცდა უარყოფდა მცირე ერების თვითგამორკვევის უფლებას. მაგრამ, თუ ასეთი ცუდები იყვნენ ქართველი მენშევიკები, მაშინ რაღა მოუვიდა ქართულ ბოლშევიკურ ხელისუფლე-

ბას, რომელიც, მათივე წიგნში მოტანილი მასალების მიხედვით, ეწინააღმდეგებოდა „სამხრეთ ოსეთისათვის“ ავტონომიური სტატუსის მინიჭებას? ქართული, ახალი ბოლშევიკური ხელისუფლების მტკიცებითაც, “საქართველოში არიან ოსები, მაგრამ არ არის ოსეთი.... საქართველოს ტერიტორიაზე არის სულ შვიდი ოსური სოფელი და არავითარ ავტონომიაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი.” აქვე ოსი მეცნიერები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ქართველი ხელმძღვანელობა ამგვარი პოზიციის გამო კრემლის მიერ „ნაციონალ უკლონისტებად“ გამოცხადებულან [გაგლოითი, ჯიოევი, ჯუსოითი, პუხაევი, ტეხოვი, ჩიბიროვი, 1995]. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავტონომიის გამოცხადებიდან მხოლოდ ერთი თვის შემდეგ (1921 წლის ნოემბერი) „ზემოდან“ მითითებით როგორც იქნა გადაწყდა, ოლქის ცენტრი ცხინვალი ყოფილიყო (ამ დროისათვის აქ ოსი ეროვნების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა). ამჟამადაც აქ, „დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოში“, სხვადასხვა წყაროების მონაცემებით, ცხოვრობს 10-12 ათასი ადამიანი. ხომ არ ხდება საქართველოს ეს რეგიონი გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლი?

ამრიგად, ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით ჩანს, თუ რამდენად უსამართლო იყო შუაგულ საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის წარმოქმნა. ოსური მხარის თვალსაზრისითაც მოხდა უსამართლობა, როდესაც ოსები, მცხოვრებნი კავკასიონის ქედს გაღმა, ჩრდილოეთით, და ქედს გამოღმა, სამხრეთით, გაიყვნენ ორ ნაწილად...

ერთი შეხედვითაც კი ჩანს, რომ ცხინვალის რეგიონში ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია რეალურად ხელს ვერ შეუწყობდა საქართველოში ოსების სოციოკულტურულ ადაპტაციასა და ინტეგრაციას. ამ კუთხით, სამწუხაროდ, ეს თემა არ გაანალიზებულა. არ გაანალიზებულა ისტორიოგრაფიაში ის საკითხიც, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიამ, რომელიც კრემლის გეოპოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა, შეიძლება შეგნებულად არა, მაგრამ რეალურად ამ რეგიონში მცხოვრები ოსებიც და ქართველებიც კატასტროფამდე მიიყვანა.

თავი I

"სამხრეთ ოსეთის" ავტონომიის "დანერგვა" საბჭოთა საქართველოში

ცარიზმის დამხობის შემდეგ (1917 წლის თებერვალი) კავკასიის ხალხები აქტიურად ებმებიან ერთა თვითგამორკვევის პროცესში. უნდა ითქვას, რომ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო კავკასიაში, პრობლემა იმდენად სოციალურ-კლასობრივი დაპირისპირება და ხალხების რუსეთიდან გამოყოფა კი არ იყო, რამდენადაც წესრიგის დამყარება, რომელიც, ფაქტობრივად, მონარქიის დაცემის შემდეგ, ანარქიის პირობებში, მოიშალა. სიტუაციას ესაჭიროებოდა ეროვნებათაშორისო და საზოგადოებრივი პროცესების რეგულირება ადგილებზე. ასეთ პირობებში პრობლემების მოგვარება კავკასიასა და საქართველოშიც დაიწყო ხალხთა ეთნოტერიტორიული თვითორგანიზაციის საფუძველზე. საქართველოში ამ დროს, ოსების გარდა, მრავალრიცხოვანი იყო სომხების, აზერბაიჯანელების, რუსების, ბერძნებისა და სხვა დიასპორები. მაგრამ, იმის გამო, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთს", როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეკავა რუსეთისათვის გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ტერიტორია, დაიწყო ამ ტერიტორიის რეალური პოლიტიკური შინაარსით დატვირთვა.

ბოლშევიკებმა გაატარეს მრავალი „ღონისძიება", რომელთა საშუალებით „სამხრეთ ოსეთისათვის" უნდა მიენიჭებინათ რეალური „დამოუკიდებელი ეთნოპოლიტიკური ერთეულის" სტატუსი. მაგალითად, 1917 წლის ივნისში ჯავაში ჩატარდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" დელეგატთა I ყრილობა, რომელზეც ნათქვამი იყო, რომ „თუ კავკასიელმა ხალხებმა მიიღეს ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიები, მაშინ ოსებსაც (გაერთიანებულთ ერთ ეროვნულ ერთეულად) მიეცემათ თვითგამორკვევის უფლება [გაგლოითი და სხვ., 1995]. რა თქმა უნდა, ოსები, როგორც სხვა ხალხები კავკასიის მთიანეთში, სასოფლო თემებიდან უნდა გამოსულიყვნენ და უნდა გაერთიანებულიყვნენ თავიანთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ „ფორმაში". ამ შემთხვევაში იგულისხმება ოსები ჩრდილო კავკასიაში, რომელიც დღეს ოსური სახელმწიფოებრიობის საბაზო სივრცეა ჩრდილო კავკასიაში.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ისტორიამ, რომელიც იმ დროს ცალსახად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს, დაგვანახა საბჭოთა რუსეთის „სამხრეთ ოსეთზე“ „ზრუნვა“ მათი თვითგამორკვევისათვის. ჯავის I ყრილობიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ (1918 წლის ივნისი) მორიგ ყრილობას ჯავაში უკვე ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. შ. ვადაჭკორია წერს, რომ „მათი (ბოლშევიკების – ჯ. კ.) ინიციატივით მიღებულ რეზოლუციაში დასმული იყო საკითხი დემოკრატიული საქართველოს მთავრობის არცნობისა და ოსებისათვის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნის შესახებ“ [ვადაჭკორია, 1998, 121].

ამრიგად, „ზემოდან“ ინიცირებული დამოუკიდებლობის იდეა კონკრეტული საქმიანობით „ქვემოდან“ მყარდება. „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭო (შეიქმნა 1918 წელს) 1819 წლის ივნისში იღებს „სამხრეთ ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტს“. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამავე საბჭოს მიერ შექმნილი „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიული თვითმმართველობის ახალი პროექტით მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო: გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრების ოსური მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიები, ხოლო ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალი იყო გამოცხადებული“ [ვადაჭკორია: 1989, 121]. საქართველოს მთავრობამ მაშინ ეს პროექტი არ მიიღო და დააყენა საკითხი „ჯავის მაზრის შექმნის შესახებ“.

ასეთ ბოლშევიკურ პოლიტიკურ ექსპანსიას იმავე წლებში ემატება მათ მიერ ორგანიზებული გლეხთა აჯანყებები სამაჩაბლოში: პირველი – 1918 წლის 23 თებერვალს, მეორე – 1919 წლის 23 ოქტომბერს და მესამე – 1920 წელს, რომელსაც 8 მაისს აჯანყებულების მიერ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება მოჰყვა. ეს აჯანყება საქართველოს ხელისუფლებამ ჩაახშო. სამწუხაროდ, მას საქართველოს 20 ათასი ეთნიკურად ოსი მოქალაქის იძულებითი გადასახლება მოჰყვა ოსეთში, ძირითადად, ვლადიკავკაზში.

ამრიგად, ამ მოკლე ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური ავტონომია არა აქ მცხოვრები ადამიანების სოციალურ განვითარებას ისახავდა მიზნად, არამედ ის ბოლშევიკური პოლიტიკის ინსტრუმენტად იქცა საქართველოში.

საბჭოური მოდერნიზაცია

საბჭოთა პერიოდში მოდერნიზაცია ხორციელდებოდა სსრკ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შექმნისა და ახალი სოციალური ერთობის – საბჭოთა ხალხის ფორმირების მიზნით. ამ პროცესის მიხედვით ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ყაბარდოელებს და სსრკ ყველა ხალხს უნდა შეექმნათ ხალხთა ახალი, ზეეროვნული „გაერთიანება". ახალი სოციალური ერთობის შექმნის ძირითადი ინიციატორი, სსრკ-ში მისი დომინანტური მდგომარეობიდან გამომდინარე, რუსეთის საზოგადოება გახლდათ. ინტეგრაციის ამ პროცესს საფუძვლად ედო „სოვეტიზაციის" პოლიტიკა და იდეოლოგია. „სოვეტიზაცია" კი დაფუძნებული იყო ტრადიციული სოციალური ორგანიზაციისა და კულტურის ახალი სოციალური საზოგადოების ფუნქციონირების და ორგანიზაციის შეუთავსებლობის პოსტულატის პრინციპებზე.

აქედან გამომდინარე, საუბარიც კი ზედმეტი იქნებოდა ქართველების ან ოსების ტრადიციული კულტურის ადაპტაციაზე ახალ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში. კულტურათა მოდერნიზაციამ, რომელიც 20-იან წლებში აქტიურად წარიმართა, ძირითადად მოიცვა კულტურულ-იდეოლოგიზებული და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სფეროები. სოფლად კი ყველგან გარკვეული ხნის მანძილზე მეურნეობის ტრადიციული სისტემა და ცხოვრების წესი მდგრადობას ინარჩუნებდა. 1930-იან წლებში მდგრადობასა და სულიერ-იდეოლოგიურ ავტონომიას სოფლად კოლექტივიზაციამ მოუღო ბოლო. არადა,
აქ ხდებოდა ეთნოსოციალური და ეთნოკულტურული ტრადიციების აღწარმოება.

დღეს, ამ პროცესების რეტროსპექტიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ სსრკ ზეცენტრალიზებული, გასახელმწიფოებული პოლიტიკის პირობებში, რესპუბლიკებში, და კერძოდ საქართველოში, არავითარი რეალური, ერთიანი სოციალურად ინტეგრირებული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნებოდა. არადა, 20-იან წლებშივე ცხადი გახდა, რომ საქართველოში ახალი, თანამედროვე კულტურის დარგებს, რომელიც მაშინ იქმნებოდა, ხელშეწყობის მაგიერ, პირიქით, ხელი ეშლებოდა. ხელის შეშლა გამოიხატებოდა იმაში, რომ „ოსურ ავტონომიას, როგორც ხალხთა

ერთობის გახლეჩის ინსტრუმენტს, ესაჭიროებოდა ტერიტორიული ფორმა, რომელსაც „ოსური ელფერი“ უნდა მისცემოდა. ზ. ცხოვრებოვა თავის ნაშრომში „სამხრეთ ოსეთის ტოპონიმია“ აღნიშნავს, რომ „სამხრეთ ოსეთის“ გეოგრაფიულ სახელებში მოხდა კოლოსალური ცვლილებები. XX ს-ის 20-იან წლებში ასობით ტოპონიმი შეიცვალა სრულიად ახლით, ან გადაკეთდა, გასწორდა. რა თქმა უნდა, ეს იყო ტოპონიმები, რომლებსაც ჰქონდათ ქართული წარმომავლობა. ამაზე, სამწუხაროდ, ავტორი დუმს. მაგრამ, აქვე დასძენს (ამაში მას ვეთანხმებით), რომ „ტოპონიმებს აქვთ არა მარტო მისამართის ფუნქცია, არამედ იდეოლოგიურიც“ [ცხოვრებოვა, 1979: 87]. დიახ, ამ ქმედებით ოსებს არწმუნებდნენ მათი „ავტონომიის“ შექმნის სამართლიანობაში. უკანასკნელს კი, თავის მხრივ, კრემლი საქართველოში, საჭიროების შემთხვევაში, თავისი პოლიტიკის გასატარებლად გამოიყენებდა. ამ მექანიზმზე დაყრდნობით, 20-იან წლებში ძალიან ოსტატურად მოხდა ცხინვალის რეგიონში ქართულ სოციოკულტურულ გარემოში ადაპტირებული, ინტეგრირებული ოსების ქართველებისაგან ხელოვნურად გათიშვა. ამას ხელი შეუწყო ბოლშევიკების საგანმანათლებლო პოლიტიკამ, რომელიც საქართველოში და ყველა სხვა რესპუბლიკაში საზოგადოების ცენტრალიზაციას უწყობდა ხელს.

კავკასიის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში (რუსეთის ფედერაცია) ენობრივი პოლიტიკა საგანმანათლებლო სფეროში პრორუსულია და ეს სავსებით კანონზომიერად ითვლება, თუ ერთიანი მოდერნიზირებული რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზეა საუბარი. მაგრამ, აქვე აღსანიშნავია, რომ რუსი ბოლშევიკები „აგრესიულად“ ხელს უწყობდნენ, საქართველოში (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში) დაფუძნებულიყო ოსური, სომხური, რუსული, ბერძნული და სხვა სკოლები ხშირად მაშინაც კი, როდესაც ამას საჭიროება არ მოითხოვდა. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ერთაშორის თანხმობა არ მოხდებოდა. ზ. ქირია ხაზს უსვამს, რომ „1923 წლის აგვისტოში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცაკმა მიიღო დადგენილება ოლქის ფარგლებს შიგნით ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის, შემოღების შესახებ. ე. ი. ოლქის შიგნით შემოღებულ იქნა ოსური ენა, ხოლო ოლქის გარეთ ურთიერთობა უნდა წარმოებულიყო რუსულ ენაზე. როგორც ვხედავთ, - განაგრძობს ავტო-

რი, - ხმარებიდან ამოღებულ იქნა ქართული ენა და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ოლქში სალაპარაკო ენას ქართული წარმოადგენდა“ [ქირია, 2005: 75]. ამავე ავტორის ნაშრომში აღნიშნულია, რომ კრებებზე მოხსენებები სხვადასხვა ენაზე იწერებოდა, რაც ხშირად დავის საგანი ხდებოდა. მოსახლეობა კი საქმის წარმოებას მათთვის გასაგებ ქართულ ენაზე მოითხოვდა.

გაკვირვებას იწვევს საქართველოს ცაკის 1924 წლის თებერვლის მე-2 სესიის დადგენილება თავისი ურთიერთგამომრიცხავი პუნქტებით. დადგენილებაში, ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ-ში ქართული ენა სახელმწიფო ენადაა გამოცხადებული და აქვე მე-2 პუნქტად ხაზგასმულია, რომ ნებადართულია სახელმწიფო დაწესებულებებში სახელმწიფო ენასთან ერთად ეროვნული უმცირესობების ენების გამოყენება [საქართველოს პრეზიდენტის არქივი (სპა), ფ. 14, ა. 2, ს. 38, გვ. 22]. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ასეთი მიდგომა მიზნად ისახავდა არა ოსებისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების საქართველოში ადაპტაციასა და ინტეგრაციას, არამედ, პირიქით, დეზინტეგრაციასა და, ცხადია, რუსული ენისთვის დომინირებული მდგომარეობის შექმნას. ჩვენც ამ პროცესს დღემდე ირიბად ხელს ვუწყობთ, რადგან ხშირად აღვნიშნავთ, რომ ჩვენ, ქართველები, რა კარგები ვართ, რომ საქართველოში, ჩრდილო ოსეთთან და ზოგადად ჩრდილო კავკასიასთან შედარებით, თურმე ბევრი ოსური, სომხური და ა. შ. სკოლა გვქონია. გასაგებია, როდესაც თუნდაც ხელოვნურად შექმნილ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიაში ოსურ სკოლებზეა ლაპარაკი, მაგრამ რატომ უნდა „გვიხაროდეს“ ასეთი სკოლების არსებობა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე?

მაგალითად, ანზორ თითაძე წერს, რომ 1990 წლების დასაწყისში საქართველოში 98 ოსური სკოლა ფუნქციონირებდა შერეული ტიპის სკოლებთან ერთად. მათ შორის, 90 სკოლა ყოფილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ხოლო 8 ოსებით ნაკლებად კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში – თბილისში, ლაგოდეხში, ბორჯომსა და ყვარელში, აგრეთვე ქართლში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1921 წლამდე არც ერთი ოსური სკოლა არ არსებობდა. 1926 წლისათვის საქართველოს ხუთ მაზრაში უკვე 19 ოსური სკოლა იყო, ხოლო 1928-29 სასწავლო წელს ოსური სკოლების რიცხვი 26-

მდე გაიზარდა [თოთაძე, 2006: 97]. აქვე ა. თოთაძე აკეთებს შედარებით ანალიზს, რომ 1988 წელს „სამხრეთ ოსეთში“, რომლის მოსახლეობა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რეს-პუბლიკის მოსახლეობაზე 6,4-ჯერ ნაკლები იყო, ყოველ ათი ათას მცხოვრებზე 3,5-ჯერ მეტი დასახელების წიგნი გამოდი-ოდა 2-ჯერ მეტი ტირაჟით, ვიდრე ჩრდილო ოსეთში [თოთა-ძე, 2006: 98]. კარგია თუ ცუდია ეს? ისტორიამ გვიჩვენა, რომ ჩრდილო ოსეთი – ალანია, რომელიც რუსეთის საზოგა-დოებაში წლიდან წლამდე სულ უფრო ინტეგრირდებოდა ძი-რითადად ოსური სკოლების არარსებობის გამო, დღეს კავკა-სიაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის გეოპოლიტიკუ-რი ფორპოსტი და უერთგულესი მეგობარია. „სამხრეთ ოსე-თი“ კი, საქართველოში მრავალი ოსური სკოლით, ყველამ კარგად ვიცით, სეპარატისტული კერაა.

ხომ არ არის ყოველივე ეს საბჭოთა საგანმანათლებლო-იდეოლოგიური პოლიტიკის ლოგიკური შედეგი? თუ ამაზე დადებითად ვუპასუხებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ოსური სკოლების ზრდის ფაქტი საქართველოში ოსებისადმი ქარ-თველების „მზრუნველობით“ კი არ იყო გამოწვეული, რო-გორც ამას ა. თოთაძე ხსნის, არამედ ეს იყო კრემლის კარნა-ხით ქართული მარიონეტული საბჭოთა ხელისუფლების „წარ-მატებული პოლიტიკა“. ქართულ ენობრივ სივრცეში ამგვარ პოლიტიკას მისი სეგმენტაცია მოჰყვებოდა და მოჰყვა კიდეც. საქართველოში რუსული, სომხური, ოსური, აფხაზური და სხვა ენები თითქმის ქართულთან გათანაბრებული იყო. „სამ-ხრეთ ოსეთის“ კონსტიტუციაშიც კი ავტონომიის შექმნისთა-ნავე ჩაიწერა, რომ ავტონომიასა და საქართველოს შორის ოფიციალური საურთიერთობო ენა რუსული იქნება.

კრემლისათვის ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო და უკვე 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო საქართვე-ლოში ადმინისტრაციული წესით რუსული ენისათვის პრიორი-ტეტული ენის სტატუსის მინიჭებისათვის ზრუნვა. 1939 წელს მოსკოვში, საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ თათბირზე, რომელიც საქართველოში რუსული ენის სწავლებას ეძღვნე-ბოდა, აღინიშნა, რომ აფხაზეთის სკოლებში 1937 წლამდე ქართული არ ისწავლებოდა. ამ ფაქტს იქ დამსწრეთა შორის არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია. მაგრამ, 1933 წლიდან საქართველოში ქართულ სკოლებში მე-3 კლასიდან რუსული ენა რომ ისწავლებოდა და საქართველოს უმაღლეს სასწავ-

ლებლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტთა რიცხვი 14-დან (1937-1938 სასწავლო წელს) 530-მდე გაიზარდა(1938-1939 სასწავლო წელს) და თითქმის ამ-დენივე დაუსწრებლად სწავლობდა უმაღლეს სასწავლებლებ-ში, ეს ამ თათბირზე დადებითად იქნა აღქმული. მოსკოვის ამავე თათბირზე, როდესაც საქართველოს წარმომადგენელმა კიკნაძემ კითხვაზე: სწავლობდნენ თუ არა საქართველოს რუ-სულ სკოლებში ქართულ ენას, დადებითად უპასუხა, კრემ-ლის ჩინოვნიკის, ჟუკოვის გამაფრთხილებელი რეაქცია მოჰ-ყვა: „საჭიროა საქმეში გარკვევა და წესრიგის დამყარება“ [სპა, ფ. 14, ა. 13, ს. 26, ფ. 25]. რა თქმა უნდა, ქართული ენის სწავლება საქართველოს რუსულ სკოლებში, ჟუკოვის აზრით, ცუდი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ „სამხრეთ ოსეთ-სა“ და აფხაზეთში, მშობლიური ენის გარდა, მოსწავლეებს კიდევ 3 ენის (ქართული, რუსული, ერთ-ერთი ევროპული) სწავლა უხდებოდათ. ალბათ, როგორც ჟუკოვის რეპლიკიდან ჩანს, ცუდი არ იქნებოდა, თუ მათი შეკვეცა ქართული ენის ხარჯზე მოხდებოდა.

საბედნიეროდ, ეს ასე არ მომხდარა. „სამხრეთ ოსეთში“ 1924 წელს ლათინურ შრიფტზე შექმნილი ოსური დამწერლო-ბა 1930 წლის დასასრულს მოსახლეობის უკმაყოფილებას იწ-ვევს. რა თქმა უნდა, მოსკოვი ამით გაღიზიანებულია. ამიტო-მაც 1938 წელს მზადდება ორი პროექტი: პირველი პროექტით ოსური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზეა შედგენილი, ხოლო მეორე პროექტით – რუსულის საფუძველზე უნდა შედგენილიყო. საბოლოოდ, 1939 წლის 1 იანვარს, დამტკიცდა დადგენილება ქართული ანბანის საფუძველზე ახალი ოსური ანბანის შექმნის თაობაზე.

ლათინური ანბანისაგან განსხვავებით, ოსური დამწერ-ლობა ქართული ანბანის საფუძველზე გაცილებით ორგანუ-ლი, ეფექტური აღმოჩნდა „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობი-სათვის, მით უმეტეს, რომ საქართველოს ოსი მოსახლეობა, მათ შორის შიდა ქართლშიც, ქართულ ენასა და დამწერლო-ბას კარგად ფლობდა. ადრე, ხელოვნურად გართულებულ მდგომარეობამდე, „1939 წელს დაწყებითი სკოლებისათვის ახალ ოსურ შრიფტზე დაყრდნობით დაიბეჭდა ოსური სახელ-მძღვანელოები, ხოლო საშუალო სკოლებისათვის გამოიცა ქრესტომათია, რომელიც ნათარგმნი იყო რუსულიდან. აღსა-ნიშნავია ისიც, რომ ამავე 1939 წელს ახალ ანბანზე დაყ-

რდნობით ოსურ ენაზე გამოიცა 60 დასახელების წიგნი. გასულ წლებში ოსურ ენაზე თითქმის არ არსებობდა ლიტერატურა, რაც განსაკუთრებით მოსწავლეებს უქმნიდა წინააღმდეგობას, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენდა სტამბის დაარსება. 1923 წლიდან ქ. ცხინვალში ცინკოგრაფიის განვითარებას ეყრება საფუძველი. სტამბა ქ. ცხინვალში საბოლოოდ 1924 წელს დაარსდა. აქ იბეჭდებოდა ოსური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა კ. ხეთაგუროვის, ს. გადიევის, ბ. კურჯიბეკოვის და სხვათა ნაწარმოებები. ოლქში განვითარებას იწყებს ოსური პროზაც. მის დამფუძნებლად გვევლინება სეკა გადიევი, რომელმაც დაწერა მოთხრობები „აისა“ და „ზალდა“. სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდნენ ოსი ახალგაზრდები: ცომაყ გადიათი, გიორგი მალიევი, შამილ აბაევი, დავით ყოროევი, ანდრეი გულიევი, რუთენ გაგლოევი, ელბასდუყო ბრიტაევი და სხვა“ [ქირია: 2005, 77].

სამწუხაროდ, ქართული ანბანის საფუძველზე შექმნილმა ოსურმა დამწერლობამ „სამხრეთ ოსეთში“ დიდხანს ვერ „იმუშავა“. რუსული გრაფიკის საფუძველზე ოსური დამწერლობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების შესახებ საბჭოურმა სახელისუფლებო ვერტიკალმა დადგენილება 1953 წლის დეკემბერში მიიღო [სპა, ფ. 14, ა. 28, ს. 392, ფ. 126]. ამჯერად აპელირება კეთდება იმაზე, რომ 40-იან წლებში საბჭოთა საქართველოში და „სამხრეთ ოსეთში“ მიღებული გადაწყვეტილებები საშუალო სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ვითომცდა, არ ითვალისწინებდა ოსი მოსახლეობის ნებასურვილს [სპა, ფ. 14, ა. 27, ფ. 14, ს. 241, ფ. 103].

მოგვიანებით, 1954 წლის თებერვალში, „სამხრეთ ოსეთის“ პარტიული ლიდერი ი. კუდუხოვი თავის ქართველ კოლეგა მჟავანაძისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მიანიშნებს, რომ ადგილი აქვს „სამხრეთ ოსეთიდან“ მოსახლეობის მასობრივ გადინებას ჩრდილო კავკასიაში. და აქვე ასახელებს ამის გამომწვევ მიზეზებს: პირველ მიზეზად „საქართველოს და „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილი ხელისუფლების ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი მუშაობის მეთოდები“ სახელდება (ეს ხდება 1956 წელს, ი. სტალინის გარდაცვალებისა და ლ. ბერიას დახვრეტის შემდეგ). მეორე მიზეზად დასახელებული იყო „ოლქში სერიოზული წარმოების არარსებობა“. კუდუხოვის მოხსენებით ბარათში ხაზგასმულია, რომ ყო-

ველივე ამის შედეგად 1954 წლის თებერვლისთვის ოლქის მოსახლეობა შემცირდა 39,5 ათასი ადამიანით და ამჟამად მისი რაოდენობა 89,5 ათასს შეადგენს [სპა, ფ. 14, ა. 28, ს. 317, ფ. 13].

მოსახლეობის გადინების მიზეზი ისიც იქნებოდა, რომ 50-იანი წლების დასაწყისში საგანმანათლებლო სისტემაში მომხდარმა მორიგმა მანიპულაციამ აღაშფოთა „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობა. აქ მცხოვრებ ხუთ ახალგაზრდა მოქალაქეს (ვ. ვანეევი, ს. გაბუევი, ზ. ჯიოევი, ლ. გასიევი, გ. ბეკოევი) იმის გამო, რომ უკმაყოფილება გამოთქვეს ოსური სკოლების დახურვასთან დაკავშირებით, ხანგრძლივი პატიმრობა მიესაჯა [სპა, ფ. 14, ა. 27, ს. 211, ფ. 59].

ხალხთა ორენოვნებას მდგომარეობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანი ბავშვობიდან აზროვნებს არა მშობლიურ ენაზე, არამედ მისთვის ჯერ კიდევ უცხო ენაზე, ფილოლოგი გ. ჰუსეინოვი და ისტორიკოსი მ. ტეკუევა „полуязычие“-ს უწოდებენ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი შეიძლება ითქვას, რომ „ხალხისათვის მიუღებელი ხდება სიტყვიერად გადმოსცეს ის, რაც ყველაზე უფრო აღელვებს, ახარებს ან აწუხებს, წლების მანძილზე მასში აგროვებს ფეთქებად, საშიშ, გონებრივად გადაუმუშავებელი განცხადების ტვირთს: რაც უფრო მტკივნეულია და მონოტონური ეს განცხადება, მით უფრო აუცილებელი ხდება სიტყვებით მათი შესაბამისი გამოთქმა, მაგრამ სიტყვები ან არ არის საკმარისი, ან ეს ის სიტყვები არაა“ [კოპალიანი, კვიციანი, 2001: 32].

ამრიგად, მარტო ის ფაქტი, რომ მშვიდობიან დროში „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის მესამედი ერთბაშად ოლქიდან გადის, მეტყველებს იმაზე, რომ არ ტარდებოდა სათანადო პოლიტიკა აქ მცხოვრები მოსახლეობის მიმართ საქართველოს საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრაციისათვის.

მაგალითად, „სამხრეთ ოსეთში“ სკოლების, მათ შორის საშუალო სპეციალური (ტექნიკუმები) და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების რიცხვი 1940-41 სასწავლო წელს შეადგენდა 358-ს, 1970 წელს – 286-ს, 1986 წელს – 169-ს. რაოდენობა ორჯერ მეტადაა შემცირებული. საქართველოს სხვა რეგიონებში კი, გარდა აფხაზეთისა, სადაც შესაბამისად 454, 468, 338 სკოლაა, პირიქით, სკოლების რიცხვი საგრძნობლად მატულობს. აჭარაში, მაგალითად, ამავე წლებში, ფიქსირდება

შესაბამისად 398, 436, 411 სკოლა [საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1987: 150]. უნდა აღინიშნოს, რომ „სამხრეთ ოსეთში“ ეს ხდება მაშინ, როცა მოსახლეობის რაოდენობა 1940 წელს შეადგენდა 108,5, 1970 წელს – 99,4 და 1986 წელს – 98,7 ათასს. გამოდის, რომ მოსახლეობის რაოდენობა, ფაქტობრივად, უცვლელია, მაგრამ, როგორც ჩანს, სკოლების რაოდენობა მცირდება.

აქვე აღსანიშნავია ურბანიზაციის დაბალი დონე. 1940 წელს ქალაქის მოსახლეობა ოლქში 13, 9 პროცენტის ტოლი იყო, სოფლისა კი – 86,1-ისა და 1959 წელს შესაბამისად – 24,8 და 75,2 პროცენტის. „სამხრეთ ოსეთში“ აღნიშნული მაჩვენებლები, აჭარასთან და აფხაზეთთან შედარებით, დაბალია. საქართველოში კი ეს მაჩვენებლები 1940 წელს ასე გამოიყურებოდა: ქალაქში ცხოვრობს საერთო მოსახლეობის 30,6 პროცენტი, სოფლად – 69,4; 1959 წელს შესაბამისად – 42,4 და 57,6 [საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1987: 149]. როგორც ჩანს, საქართველოში ურბანიზაციის დონე, ოლქთან შედარებით, მაღალია.

ამრიგად, „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო და მოსახლეობის ურბანიზაციული დონის მაჩვენებლები, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მკვეთრად განსხვავდებოდა. ამ განსხვავების სიღრმე და მასშტაბი მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ მოწყვეტილია „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია საქართველოს საზოგადოებრივ სისტემას.

კულტურულ-მოდერნიზაციულ პროცესებზე „სამხრეთ ოსეთში“ იმანაც იმოქმედა, რომ აქ ოსებით ძირითადად დასახლებული იყო მაღალმთიანი სოფლები, სადაც სოციალური ლიდერობის პოზიციები ტრადიციულ ელიტებს ეკავათ და ამით ბევრად იყო განპირობებული სოციოკულტურული პროცესების ქართულ საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრაციის პრობლემები.

უარყოფით როლს ასრულებდა „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი ენის სიმბიოზური სივრცე. ოსები აღმოჩნდნენ რთულ მდგომარეობაში: ადრე (1917 წ.) აქ საყოველთაოდ მიღებული ქართული ენის ნაცვლად, სთავაზობდნენ, განათლება მიეღოთ ჯერ იყო და ოსურ ენაზე (სამწუხაროდ, მათ საამისოდ არ გააჩნდათ სათანადო საკადრო-სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა), ხოლო მოგვიანებით, 40-50-იან

წლებში, ქართულ და რუსულ ენებზე. ი. გაგლოითი მიანიშ-ნებს, რომ ასეთმა „რეფორმამ“ „გამოიწვია ოს მოსწავლეთა დიდი რაოდენობით გადინება. მოსწავლეთა დიდი ნაწილი დარჩა სკოლის მიღმა, ფაქტობრივად, უსწავლელი” [გაგლოი-თი და სხვა, 1995]. იქმნებოდა მდგომარეობა, როდესაც ადა-მიანმა ქართული დაივიწყა, ხოლო ოსური და რუსული წიგნი-ერად ვერ ისწავლა... ეთნოლინგვისტური პრობლემა სოცია-ლურ-პოლიტიკურში გადადიოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ რეგიონის ისტორიაში XX საუკუნეშიც და ამჟამადაც დი-დია ოსური მოსახლეობის მიგრაცია ჩრდილოეთის მიმართუ-ლებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეულ ეთიკურ პრობლე-მებს ქართულ სოციუმთან მიმართებაში ქმნიდა ოსების „რე-ლიგიური მდგომარეობა“. ლ. ჩიბიროვი თვლის, რომ ოსები აზროვნების სტილით უფრო მეტად ათეისტები არიან, ვიდრე მორწმუნენი. „აი, ამიტომ, საბჭოთა დროს, როდესაც შეიქმნა პირობები რელიგიისაგან განთავისუფლებისა, ოსები აღმოჩ-ნდნენ იმ ხალხთა რიცხვში, რომლებიც გაბედულად ამხედ-რდნენ რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ და ჩადგნენ მეომარი ათეისტების რიგებში“ [ჩიბიროვი, 1984: 197].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსკოვისა და თბილისის „შეთანხმებული“ პოლიტიკით, „სამხრეთ ოსე-თის“ ავტონომიური სტატუსის მინიჭებით გამოირიცხა ამ რე-გიონის ადაპტაცია/ინტეგრაცია საქართველოს რესპუბლიკის სივრცეში, რამაც დიდად შეაფერხა მისი სოციოკულტურული განვითარება.

თავი II.

პოსტსაბჭოური სოციალური ტრანსფორმაციის პერიოდი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში, ეროვნული უმცირესობების ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა 1995 წლის აგვისტოში მიღებული კონსტიტუციით. მის 38-ე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეები, მიუხედავად მათი ენისა, ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა, თანასწორები არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონსტიტუციის ეს და სხვა მუხლები რეალურ შესაძლებლობას აძლევს მათ, თავისუფლად განავითარონ საკუთარი კულტურა, გამოიყენონ მშობლიური ენა პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. კონსტიტუციის ნორმები საშუალებას იძლევა, განვითარდეს სამოქალაქო ინსტიტუტები ცხინვალისა და ოსებით კომპაქტურად დასახლებულ სხვა რეგიონებში. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ცხინვალის რეგიონი ამჟამად დროებით ოკუპირებულია, სამოქალაქო საზოგადოების იქ არსებულ თემების განვითარებამ პრობლემური ხასიათი მიიღო.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ქართულ და ოსურ თემებში – კახეთსა და ბორჯომის ხეობაში, ახალგორის რაიონსა და დისევში – ხელს უწყობს საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ჩარჩოკონვენციის რატიფიკაციის თაობაზე. დოკუმენტი გვამცნობს, რომ საქართველოს პარლამენტი სტრასბურგის 1995 წლის 1 თებერვლის "ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" კონვენციის რატიფიცირებას ახდენს. დადგენილებაში განსაზღვრულია, თუ რას გულისხმობს ტერმინი „ეროვნული უმცირესობები". მასში აღნიშნულია, რომ საქართველო იღებს ვალდებულებას, მათთვის რეალიზებულ იქნეს "უმცირესობების ენის გამოყენების უფლება", შეუქმნას პირობები, რათა მათ სახელმწიფო ენა შეისწავლონ. ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ კონვენციის 30-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველო აცხადებს, რომ კონვენციის დებულებების სრულად და გარანტირებულად დაცვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შეძლებს მხოლოდ

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და აფხაზეთისა და ყოფილი „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიურ ოლქში არსებული კონფლიქტების მოგვარების შემდეგ.

სამწუხაროდ, ცხინვალის რეგიონის ოს მოსახლეობასთან ურთიერთობები განსაკუთრებით დამძიმდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ მისი ოკუპაციის შემდეგ. საქართველოს პარლამენტმა იმავე წლის ოქტომბერში მიიღო კანონი "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ", რომელიც განსაზღვრავს ახალ სამართლებრივ რეჟიმს ცხინვალის რეგიონის მიმართ.

დღეს ცხინვალის რეგიონის სამართლებრივ-საკანონმდებლო მდგომარეობა რეგულირდება აღნიშნული კანონით, აგრეთვე შესაბამისი საერთაშორისო ნორმებითა და მექანიზმებით.

მიუხედავად ამისა, 2010 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დოკუმენტი „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით". მისი მიზანია „ხელი შეუწყოს ოკუპაციის შედეგად შექმნილი გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული საქართველოს მოსახლეობის ურთიერთობების აღდგენა-გაღრმავებას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის („სამხრეთ ოსეთის") მოსახლეობისათვის უზრუნველყოს ის უფლებები და პრივილეგიები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ყოველი მოქალაქე".

ეს დოკუმენტი საინტერესოა იმითაც, რომ მასში მიმოიხილება ახლანდელი მდგომარეობაც. შექმნილ ვითარებაში, ნათქვამია დოკუმენტში, საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს, გაატაროს ადამიანზე ორიენტირებული (ჰუმანიტარული) აქტიური პოლიტიკა, რომელიც გამოეხმაურება ომისაგან დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებს.

აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად საინტერესოა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ გამოცემული ლიტერატურა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (გ.სორდია, ა.თოთაძე, ვ.ძიძოევი, ვ.ზახაროვა, ა.არეშევი, ე.სემერიკოვა, ი.კოჩიევი და სხვა). გ.სორდიას ნაშრომში ნაჩვენებია საქართველოში ოსების დემოგრაფიული მდგომარეობა და განსახლების არეალი. ამავე დროს წინააღმდეგობრივია ნაშრომის ერთ-ერთი თავი, რომელიც ეხება ოსების ინტეგრაციის საკითხებს ქართველ საზოგადოებაში. ერთი მხრივ, ავ-

ტორი აღნიშნავს, რომ ოსები ქართველ საზოგადოებაში „ტრადიციულად ყველაზე ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ" და აქვე, მეორე მხრივ, დასძენს, რომ „ქარელის რაიონის სოფელ ელბაქიანში ქართველების ოსური მოსახლეობის გარემოცვაში მოხვედრის შედეგად მათი ისტორიული ქართული იდენტობის ოსურით შეცვლა მოხდა" (სორდია, 2009, 13).

ანზორ თოთაძის მონოგრაფიაში "ოსები საქართველოში: მითი და რეალობა" (2006) გაანალიზებულია ოს და რუს ავტორთა მთელი რიგი ნაშრომები, რომლებიც ცხინვალის რეგიონში კონფლიქტთან დაკავშირებულ მოვლენებს ეხება. ა.თოთაძე იმ მკვლევრებს, რომლებმაც საქართველოში ოსების ყოფა-ცხოვრება შეაფასეს, ტენდენციურს, ხოლო მიმდინარე მოვლენებს „ცალმხრივად დანახულს" უწოდებს. მისი აზრით, „არ ვაქცევდით ყურადღებას ეროვნული პრობლემის მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტას, ვერიდებოდით სიმართლის თქმას ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ხალხთა განსახლების ობიექტური მიზეზების შესახებ, ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან განვიხილავდით" (თოთაძე, 2006, 104).

ტენდენციურია ვ.ძიძოევის მონოგრაფია „ეროვნული პოლიტიკა: გამოცდილების გაკვეთილები", რომელიც რამდენჯერმე გამოიცა ვლადიკავკაზში (ძიძოევი, 2002). ნაშრომის მე-7 თავში აღწერილია სამხრეთ კავკასიაში არსებულ ეთნოსთა შორის მომხდარი თუ მიმდინარე კონფლიქტები. ავტორი ე.წ "სამხრეთ ოსეთს" განიხილავს ჩრდილოეთ ოსეთის ორგანულ ნაწილად და, რა თქმა უნდა, მათ გაერთიანებას ისტორიულ კანონზომიერებად მიიჩნევს, საქართველოს ბრძოლას თავისი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად კი „იმპერიულ პოლიტიკას" უწოდებს, რომელიც აფხაზების, „სამხრეთ ოსების", ყვარლელი დაღესტნელებისა და სხვა ეროვნული უმცირესობების მიმართ გამოიხატება.

ყურადღებას იპყრობს 2010 წელს მოსკოვში ვ.ზახაროვის, ა.არეშევის და ე.სემერიკოვას მიერ გამოცემული მონოგრაფია „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარების შემდეგ: ისტორიული და თანამედროვე კონტექსტი". ავტორები აღიარებენ ოსების ქართველ საზოგადოებაში მაღალი დონით ინტეგრაციას, მაგრამ იმავდროულად ატკიცებენ, რომ ოსეთი ისტორიულად ორ ნაწილადაა გაყოფილი და მათ შორის მჭიდ-

რო კავშირების არსებობას კავკასიონის მთავარ ქედს ხელი არასოდეს შეუშლია (ზახაროვი, არეშევი, სემერიკოვა, 2010, 126).

ერთ შემთხვევაში ეს ავტორები ვითომცდა აღიარებენ, რომ საქართველოში 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, განსაკუთრებით შეიცვალა პოლიტიკური ელიტის კურსი ადამიანის უფლებების, კონკრეტულად ეთნიკურ უმ-ცირესობათა უფლებების დაცვის საკითხში. ისინი აგრეთვე მიანიშნებენ, რომ საქართველოს კანონმდებლობაში მოხდა საერთაშორისო და ევროპული ნორმატიულ-სამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაცია. მაგრამ, ამავე დროს, მათი აზრით, „ეთნიკურმა უმცირესობებმა ქართველი საზოგადოე-ბიდან და სახელმწიფოსაგან სულ უფრო დისტანცირება და-იწყეს" (ზახაროვი, არეშევი, სემერიკოვა, 2010, 229). მათივე აზრით, საქართველოში ბოლო წლებში იზრდება დაძაბულობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

ინგა კოჩიევასა და ალექსეი მარგიევას წიგნში „საქარ-თველო: ეთნიკური წმენდა ოსების მიმართ", რომელიც 2005 წელს მოსკოვში გამოიცა, აღნიშნულია, რომ თუ 1989 წელს საქართველოში 164 ათასი ოსი ცხოვრობდა, 2002 წელს მათმა რაოდენობამ მხოლოდ 38 ათასი შეადგინა. ავტორთა აზრით, 2005 წელს ოსების მიერ საქართველოში დაბრუნებაზე უარის თქმა განპირობებულია მოქალაქეობის არქონით, სამსახურის დაწყების უპერსპექტივობით, უსაფრთხოების გარანტიის არარსებობით, ოსურ ან რუსულ ენაზე განათლების მიღების პრობლემებითა და საკუთრების (ქონების) დაბრუნების უიმე-დობით (კოჩიევა, მარგიევი. 2005, 140-141). დასკვნის სახით ავტორები დასძენენ, რომ ამგვარი ვითარება ჩამოთვლილ დარგებში საქართველოს რეგიონების დეზინტეგრაციას იწ-ვევდა და რომ ამ გარემოების გარდა, ოსების საქართველო-ში დაბრუნების სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები თითქმის არ არსებობს.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ერთიანი ოსეთის თემას, რუსი მკვლევრის ვადიმ ციმბურსკის აზრით, ის ბევრადაა განპირობებული გეოპოლიტიკური და სოციალურ-ფუნქციო-ნალური რაკურსებით. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამგვარი რა-კურსი ცენტრალური კავკასიის სივრცეს, ფაქტობრივად, ორ ნაწილად ჰყოფს - აფხაზურ-ადიღურ და ნახურ-დაღესტნურ ჯგუფებად, რომლებიც, შესაბამისად, შავი ზღვისა და კასპიის

ზღვისკენ მიილტვიან. მისი აზრით, ყოველივე ეს განაპირობებდა „ოსური პროექტის" ჩამოყალიბებას ჩრდილოეთ ოსეთის პირველი პოსტსაბჭოური ადმინისტრაციების პირობებში, ა.გალაზოვისა და ს.ხეთაგუროვის მმართველობის დროს (ციმბურსკი, 2001, 98). ვფიქრობთ, რომ ეს „პროექტი" არ ყალიბდებოდა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე, იგი უფრო კრემლში წარმოებული პროდუქტი იყო.

ახლა რაც შეეხება დასავლური ფონდების დახმარებით საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ლიტერატურას, ყურადღებას იმსახურებს რეგიონული უსაფრთხოების სამხრეთკავკასიური ინსტიტუტის (SCIRS, დირექტორი ალექსანდრე რუსეცკი) მიერ დანიის ლტოლვილთა საბჭოსა და მსოფლიო ეკლესიათაშორისო საბჭოს ხელშეწყობით 2004 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „ქართულ-ოსური ურთიერთობების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები", რომელშიც განხილულია ქართულ-ოსური ურთიერთობები 1989-2002 წლებში, ნაჩვენებია მრავალი სტატისტიკური და ემპირიული მასალა საქართველოში ოსური თემების ყოფა-ცხოვრებაზე, კერძოდ - კახეთის რეგიონში, ბორჯომის ხეობაში, ახალგორის რაიონსა და გორის მუნიციპალიტეტში (სოფ.დისევი) მცხოვრები ოსების შესახებ. საყურადღებოა გამოცემაში გამოყენებული მასალა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების და თემთა ლიდერების თვალსაზრისებს ეფუძნება.

თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბერის გადაწყვეტილებას „სამხრეთ ოსეთის" (რესპუბლიკის თუ ავტონომიის*) გაუქმების შესახებ, რომელსაც დღესაც იურიდიული ძალა აქვს, წიგნში აღნიშნული ფორმულირება „ქართულ-ოსური ურთიერთობები" მართებული არ არის, რადგან „მხარეების - სუბიექტების" არსებობის ასოცირებას იწვევს. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ამჟამად (ეთნიკური ქართველები, ოსები და სხვები) საქართველოს მოქალაქეები ვართ და, შესაბამისად, ვზრუნავთ ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ სოციუმად ჩამოყალიბებაზე ადეკვატური ეკონომიკური სისტემით. რაც შეეხება საქართველოში არსებული კონფლიქტების ფორმულირებას, მართებული იქნება მათ ეწოდოს „კონფლიქტები ცენტრსა და პერიფერიებს შორის", მაგალითად, „კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში".

საინტერესოა SCIRS-ის მიერ 2009 წელს გამოცემული წიგნი „ფსევდოკონფლიქტები და კვაზიმშვიდობისმყოფელობა კავკასიაში", რომელშიც გაანალიზებულია ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტი და ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას კვაზისამშვიდობო პროცესი რეალურ სამშვიდობო პროცესად.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, რომლის მიზანია რეგიონული ინტეგრაცია და, შესაბამისად, კონფლიქტების პრევენცია, ხელს უწყობს SCIRS-ის კიდევ ერთი ნაშრომი „კავკასიის არქიპელაგი: მითი და რეალ-პოლიტიკა" (2009). მასში შემოთავაზებული წინადადება „სამხრეთკავკასიური სამშვიდობო პოლიციის" შექმნის თაობაზე საკმაო შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან კონფლიქტურ რეგიონებში, მათ შორის ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ხელს შეუწყობს მშვიდობის დამყარებასა და ნდობის აღდგენას კონფლიქტში ჩათრეულ ადამიანებს შორის. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ცხინვალის რეგიონის მრავალმხრივ ინტეგრაციას დანარჩენ საქართველოსთან.

ბოლო წლების ნაშრომებში საყურადღებოა აგრეთვე ბრიტანული DFID-ის (Department For International Opal Dexelopment) ხელშეწყობით „ბთკკ - პოლიტიკის ჯგუფის" მიერ საქართველოში გაკეთებული „ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი" (2008). კვლევაში ხაზგასმულია, რომ პოსტსაბჭოურ საქართველოში 2005 წლამდე, ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის არარსებობისა და არაეფექტური მმართველობის პირობებში, ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობაში პერიოდულად დაძაბული ვითარება იქმნებოდა, რაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მათი მონაწილეობის ხარისხს ამცირებდა. ამავე დროს, იქვე აღნიშნულია, რომ ამგვარი ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, როცა საქართველოს პარლამენტმა 2005 წელს ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში ევროპული ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, შემდეგ კი, 2007 წლის აპრილში, ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების მდგომარეობის შესახებ პირველი სახელმწიფო ანგარიში წარუდგინა.

ზემოთდასახელებული „ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფის" წევრის ნინო ხაინდრავას (2008) ნაშრომი „ეთნიკუ-

რი უმცირესობები: ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი" მიზნად ისახავს ეთნიკურ უმცირესობათა კონტექსტში საერთაშორისო დონეზე აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, მათი მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზს.

ინტერესმოკლებული არაა USAID (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) საქართველოში ხელშეწყობით მომზადებული კვლევა „ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება საქართველოში - 2007-2008". ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საქართველოში, „უკანასკნელ ხანებში მიღწეული მაკროეკონომიკური წარმატებების მიუხედავად, უფლებების დაცვა, მომსახურება და შესაძლებლობები ბევრი ადამიანისათვის ჯერ კიდევ ნაკლებადაა ხელსმისაწვდომი" (გვ.8). ამ თვალსაზრისით ხაზი ესმება, რომ „საქართველოში კონსტიტუციური დებულება, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში პრიორიტეტულად აცხადებს, საშუალებას აძლევს სასამართლოებს, შეავსოს კანონებში არსებული ღიობები" (იქვე, გვ.10).

ამასთან ერთად, ნაშრომში გატარებულია წინააღმდეგობრივი დებულებანი. მაგალითად, ერთი მხრივ, სამართლიანადაა აღნიშნული, რომ „საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი ზოგიერთი სისტემა, რომელიც უმცირესობებისათვის პარალელურ ინსტიტუტებს (მაგალითად, სკოლებს) ქმნიდა, იზოლაციის პრობლემას უფრო ამძიმებდა, ვიდრე აგვარებდა". მეორე მხრივ, იქვე ნათქვამია, რომ „სახელმწიფოს მხრიდან არ შეიმჩნევა აღებული ვალდებულებებისგან გადახვევის მცდელობა, განსაკუთრებით ენობრივი და კულტურული უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მეტიც, ზოგიერთი მექანიზმი, მაგალითად, ეროვნული უმცირესობების სკოლები, შენარჩუნებულია და მათ მიმართ პოლიტიკა იხვეწება" (იქვე, გვ.10). ამრიგად, აქ გაუგებარია - თუ ეროვნული უმცირესობების სკოლები შენარჩუნებულია და მათ მიმართ პოლიტიკა იხვეწება, მაშინ რომელ „საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილ" ინსტიტუტებზეა საუბარი?

დასმული პრობლემის ისტორიოგრაფია გვიჩვენებს, რომ ბოლო წლებში საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის საქმეში ბევრი რამ გაკეთდა - დაწყებული საქართველოს 1995

წლის კონსტიტუციიდან და დამთავრებული ბოლო დროს მიღებული დარგობრივი კანონებით, რომლებშიც ასახულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ძირითადი პრინციპები.

ამასთან, რეალობაა ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობაში ზოგადად იმპლიმენტირებულია საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივ-ნორმატიული სტანდარტები. ამ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი (შეუსწავლელი) რჩება ქართული და ეროვნულ უმცირესობათა ტრადიციული სოციალურ-კულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის მექანიზმები. სწორედ ამ გამოცდილების გათვალისწინებით, საერთაშორისო პრინციპებთან ერთად, უნდა განისაზღვრებოდეს საქართველოში სოციუმის ჩამოყალიბება.

კიდევ ერთი, საქართველოში დღემდე არ განსაზღვრულა ეროვნულ უმცირესობათა სტატუსი, რაც ხელს უშლის ქვეყანაში ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების სრულფასოვან რეალიზაციას.

ეთნიკური ოსების დემოგრაფიული მდგომარეობა

საქართველოში ოსების განსახლებას დიდი ხნის ისტორია აქვს (ამ თემაზე დაწერილი აქვთ ნაშრომები ზ. ჭიჭინაძეს, ე.ჯაოშვილს, გ.თოგოშვილს, ვ.ითონიშვილს, გ.სოსიაშვილს, ა.თოთაძეს, რ.თოფჩიშვილს და სხვებს).

თანამედროვე პოსტსაბჭოურ საქართველოში ეთნიკური ოსების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული. თუ 1989 წელს ოსების რაოდენობა საქართველოში 164.055 მცხოვრებს შეადგენდა (აქედან 98.823 ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობდა), 2002 წელს ეს რიცხვი მხოლოდ 38.023-ს აღწევდა (გარდა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიისა, სადაც აღწერა არ ჩატარებულა).

ოსი მოსახლეობის ასეთი მკვეთრი კლება ძირითადად განპირობებულია 1990-1992 წლებში ცხინვალში მომხდარი კონფლიქტით.

ეს ბოლო მაჩვენებელი, სამწუხაროდ, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის (ECMI) შეფასებით, 2009 წელს უფრო დაბალია - 26.000 ადამიანი. მათი განსახლების არეალი ძირითადად საქართველოს შვიდი რეგიონის ტერიტორიაა - შიდა ქართლი, კახეთი, ქვემო ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი (ახალგორის გამოკლებით) [სორდია, 2009, 8].

რაც შეეხება ყოფილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, მათი რაოდენობა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ მკვეთრადაა შემცირებული. საექსპერტო დასკვნებით, რეგიონი ქართველი მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია, ხოლო დარჩენილი ოსების რაოდენობა 20 ათას ადამიანს არ უნდა აღემატებოდეს.

ეთნიკური ოსები საქართველოში დანაწილებულნი არიან სოფლისა და ქალაქის მოსახლეობად. დღეს ისინი მეტწილად წარმოდგენილნი არიან ქართლის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. ამჟამინდელი მონაცემებით, ოსებში დომინირებს ქალაქის მოსახლეობა, რადგან სოფლად დარჩენილების რაოდენობა დაახლოებით 10 ათას ადამიანს თუ შეადგენს, მაშინ როცა 2002 წლის აღწერის მონაცემებით, მათი რაოდენობა სოფლად 22 ათასს აღწევდა. ამგვარი შემცირება გამოწვეულია სოფლად შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები ოსების აქტიური ჩართულობა ზოგად ქართულ გარემოში დაკავშირებულია მათი ეთნიკური პოტენციალის ტრანსფორმაციასთან. ამ შემთხვევაში საუბარია იმ ეთნიკურ ოსებზე, რომელთაც საქართველო თავიანთ სამშობლოდ მიაჩნიათ და ქართული გარემო აქვთ გათავისებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე დროს ქართველ ოსებში გარკვეულწილად სოციალურ-კულტურული და ეთნიკური მახასიათებლების ურთიერთკავშირი შეინიშნება. თუ ცხინვალის გარეთ, განსაკუთრებით ქალაქად მცხოვრები ეთნიკური ოსებისათვის, მათი საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივობიდან და სოციალური აქტივობიდან გამომდინარე, სამოქალაქო იდენტობა ეთნიკურზე მაღლა დგას, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ოსებისათვის პირიქითაა - ეთნიკური იდენტობა მათი თვითშეგნების დომინანტური მატრიცაა.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად სამოქალაქო იდენტობა მიმართულია საზოგადოებაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისაკენ, ეთნიკური კი არქაული, ინდუსტრიამდელი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია.

სხვათა შორის, ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსები 1922 წლამდე, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში ანტისამთავრობო გამოსვლების მიუხედავად, ქართველ საზოგადოებასთან მაინც საკმაოდ იყვნენ დაახლოებულნი. სამწუხაროდ, ბოლშევიკებმა, საბჭოთა ლენინურ-ეროვნული პოლიტიკის მცდარი მოდელის მიხედვით, დღევანდელ ცხინვალის რეგიონში (იმდროინდელი გორის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში) „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ხელოვნურად შექმნეს, „დაყავი და იბატონეს" პრინციპი სოციალურიდან ეთნიკურ სფეროში გადაიტანეს. ამ გეგმის რეალიზაციამ კი, თავის მხრივ, მოითხოვა ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკური ოსებისათვის, დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, უფრო მეტი პრივილეგიების მინიჭება სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში. რა თქმა უნდა, იმ დროს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, პოლიტიკური ავტონომიის შექმნის ეთნოპოლიტიკური მიზნები სოციალურ და კულტურულ მიზნებს გადასწონიდა. აქვე დავამატებთ, რომ კრემლმა „სამხრეთ ოსეთისათვის" ავტონომიის სტატუსის მინიჭებით, ფაქტობრივად, გამორიცხა ამ რეგიონის ადაპტაცია (ინტეგრაცია) საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში და დიდად შეაფერხა მისი სოციალურ-კულტურული განვითარება.

ეთნიკური ოსებისათვის ყოფილ „სამხრეთ ოსეთში" სხვადასხვა შეღავათების მინიჭებით საბჭოთა სისტემა მათ „დათვურ სამსახურს" უწევდა: ზრდიდა ეთნოსთაშორისო უნდობლობასა და აღვივებდა მათ შორის მტრობას.

ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია გ.პ. მინდიაშვილის წერილი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის, გივი გუმბარიძის, სახელზე (1990 წლის 12 იანვარი): „ჩვენ, ქართველები, რეპრესიებში ვართ მოქცეული, ჩვენი სასჯელი ძალაში რჩება... მაშინ, როდესაც ოსებს უმალვე ამართლებენ და ცდილობენ მათ არაფერი აწყენინონ". წერილის ავტორი განაგრძობს, რომ იგი 14 წლის განმავლობაში ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ქიმიაში საათობრივი ანაზღაურების წესით და რომ მისი

მოთხოვნა შტატში ჩარიცხვის თაობაზე არ დაკმაყოფილებულა. ამავე წერილში გ.მინდიაშვილი ადრესატსაც ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ „სამხრეთ ოსეთში ნომენკლატურულ თანამდებობებზე უმეტესად ოსები და გორიდან და თბილისიდან ჩამოსული ქართველები მუშაობენ, რომლებიც მლიქვნელობენ ოსებთან, ლახავენ ადგილობრივი ქართველების თავმოყვარეობას, მდიდრდებიან და შემდეგ თბილისში მაღალ თანამდებობებზე გადაადგილდებიან" (საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ.14, აღ.131, საქმე 19, გვ.132)

სხვათა შორის, საბჭოურმა საკადრო პოლიტიკამ 1990-1992 წლებში ბევრად განსაზღვრა ოსური ეთნოპოლიტიკური ელიტის „თავგანწირული" ბრძოლა „დამოუკიდებლობისათვის". საგულისხმოა ისიც, რომ ცხინვალში გორიდან და თბილისიდან თანამდებობებზე პარტიული მუშაკებისა და სამეურნეო სპეციალისტების არცთუ მთლად უანგაროდ გაგზავნით (რაც მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო) იქ ვერ შეიქმნებოდა ადგილობრივი ქართული სოციალურ-პოლიტიკური ელიტა, რომელიც დააბალანსებდა ოსთა სეპარატისტულ მისწრაფებებს. 1980-1990-იანი წლების მიჯნაზე ცხინვალში „პოლიტიკური ტურიზმით" ჩასულმა ბევრმა ქართველმა ჩინოვნიკმა, საფრთხის პირველივე სიმპტომების გაჩენისთანავე, რეგიონი დაუყოვნებლივ დატოვა. ამით, ფაქტობრივად, ცხინვალში გზა გაეხსნა ეთნონაციონალიზმს, რომლის მსხვერპლმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: დაწყებული კონფლიქტის გამო ათეულ ათასობით ქართველი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილი გახდა, 115 ათასმა ოსმა კი თავი ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ მოძმეებს შეაფარა [კოჩიევა, მარგიევი; 2005, 6].

ამრიგად, საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ოსები, ტერიტორიული განსახლების გათვალისწინებით, დღეს პირობითად ორ ნაწილად იყოფა: ოსები, რომლებიც გორის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში, ანუ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობენ, და ოსები, რომლებიც ყოფილი ოლქის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სხვა რეგიონებში არიან დასახლებულნი. ქართულ გარემოში ისტორიულად საკმაოდ ხანგრძლივად ცხოვრებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ოსების სოციალურ-კულტურული სინთეზი ამ გარემოსთან. მხედველობაში გვაქვს საქართველოში მცხოვრები ხალხების კულტურულ-ისტორიული ევოლუციიის შედეგად შექ-

მნილი თანამედროვე სიტუაცია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეთნიკური ოსებისა და ქართველების სოციალურ-კულტურული ურთიერთქმედების შედეგად მიღწეულ სამოქალაქო იდენტობის პრიორიტეტულობასთან, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის" მოსახლეობასთან შედარებით, რაც ქართველ საზოგადოებაში ოსების ინტეგრაციაზე მიანიშნებს. გასათვალისწინებელია, რომ სსრკ-ის პირობებში ოსების ინტეგრაციის ხარისხი ქართველებთან ვერ იქნებოდა სრულფასოვანი, რადგან ორივე ხალხის (ქართველებისა და ოსების, სხვა ხალხებთან ერთად) განვითარება მიმართული იყო იმისკენ, რომ ზეეთნიკური „ახალი საბჭოთა ადამიანი" შექმნილიყო.

ამჟამად, საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, ადრე ფორმალურად არსებული სამოქალაქო იდენტობა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესებთან.

ეთნიკური ოსების „სოციალური" კავშირები 1990-2010 წლებში

1990-იანი წლების დასაწყისში ცხინვალში მომხდარი კონფლიქტი და მისი შედეგები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში და, განსაკუთრებით, ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში" მცხოვრები მოსახლეობის სამოქალაქო იდენტობის ხარისხის დაბალ დონეზე მიუთითებს.

სამწუხაროდ, თითქმის 20 წლის შემდეგ შიდა ქართლში არსებულ კონფლიქტის ზონაში სიტუაცია ბევრად არ შეცვლილა. ამის დასტურია 2008 წლის აგვისტოში მომხდარი მოვლენები, რომელიც ცხინვალის რეგიონში არსებული მწვავე პროცესების ერთგვარ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან დაკავშირებით თბილისში გამომავალი ჟურნალი „კავკაზსკიი აკცენტ" წერდა: ჩვენ ვდუმდით, როდესაც ქართული ტანკები შევიდნენ ცხინვალში. ჩვენ რეაგირება მხოლოდ მაშინ მოვახდინეთ, როდესაც რუსეთის აგრესია დაიწყო. ჩვენ დავგმეთ ძალადობა, მაგრამ მხოლოდ ერთი მსხვერპლის - ქართველი მოსახლეობის მიმართ. ჩვენ არ დაგვიგმია ძალადობა როგორც ასეთი, ჩვენ არ გამოვსულვართ ძალის-

მიერი მეთოდების წინააღმდეგ პრობლემის გადაჭრის საკითხში" ("კავკაზსკიი აკცენტ", 2010, 26).

მიუხედავად ამისა, სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში ტრანსფორმაციის პროცესში ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობამ და ზოგადად სამოქალაქო იდენტობის პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა 1991 წლიდან, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, შეიძინა.

ეს პროცესი პირობითად ორ ეტაპად შეიძლება გაიყოს: პირველი - 1990-იანი - 2003 წლები და მეორე - 2003 წლიდან დღემდე.

პირველ ეტაპზე ქართველ საზოგადოებაში საგრძნობია საბჭოური აზროვნების ინერცია. DFID „ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი" აღნიშნავს, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები დეკლარაციული ხასიათის განცხადებებს არ გასცილებია. ხელისუფლება მუდმივად აპელირებდა ქართული საზოგადოების ტოლერანტობითა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ განსაკუთრებული პრობლემების არარსებობით, რეალურად კი არსებულ პრობლემებზე თვალს ხუჭავდა და ადგილობრივ ელიტებთან გარიგებას აწარმოებდა, ხოლო აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელისუფლებასთან არსებული კავშირების გამო, პერიოდულად წარმოქმნილ პრობლემებს მხოლოდ დროებით, ზედაპირულად აგვარებდა [ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი, 2008, 10].

ამის გამოვლინებები განსაკუთრებულად ჩანს როგორც ეთნიკურად ქართველ, ასევე არაქართველ - ოს მოსახლეობაშიც. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, როდესაც საქართველო ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, ხოლო სახელმწიფო ენა რუსულთან ერთად ქართული იყო, ეროვნული უმცირესობები მაინც რუსული ენის შესწავლაზე იყვნენ ორიენტირებულნი, მით უმეტეს, რომ ასეთი პოლიტიკა სახელმწიფოს ხელშეწყობით ტარდებოდა. შესაბამისად, ქართველ საზოგადოებაშიც პრაგმატულად ითვლებოდა ქართველ ახალგაზრდებს როგორც საშუალო, ისე უმაღლესი განათლება რუსულ ენაზე მიეღოთ, რაც მათ კარიერაზე დადებითად აისახებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში სახელმწიფო ენა ქართულია და მისი ცოდნა ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოდ იქცა. ამასთან დაკავშირებით ქვეყანაში შეიქმნა რთული სიტუაცია, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებისათვის - მათმა დიდმა ნაწილმა ქართული ენა არ იცოდა და, შესაბამისად, თავი იჩინა საზოგადოების დეზინტეგრაციის ნიშნებმა. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ეთნიკური ოსების მდგომარეობა, სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით, განსხვავებულია: იმ ოსებისათვის, რომლებიც ყოფილი ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ, ქართული ენის ცოდნის პრობლემა არ დამდგარა, რადგანაც მათი უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ენას ფლობდა და ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის დონე შედარებით მაღალი იყო. ეს განპირობებული იყო საქართველოში ოსების „სოციალური" აქტივობის ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა: საქართველოში მათი ცხოვრების ხანგრძლივობა, ქართული ენის ცოდნა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა (შერეული ოჯახების მაღალი პროცენტი), სამსახურებრივი მდგომარეობა და სხვა. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოში 100 ათასამდე ოსი ეროვნების მოქალაქე. აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ინტენსიური იყო ქართულ სოციალურ და კულტურულ გარემოში ეთნიკური ოსების ჩართულობა და საზოგადოებასთან მათი კავშირები, მით უფრო სუსტი გახლდათ ეთნიკურობის გამოვლენის ნიშნები.

სამწუხაროდ, სხვაგვარი ვითარება იყო ყოფილ ავტონომიურ ოლქში, სადაც 1990-იანი წლების დასაწყისში ეთნიკური ელიტისა და რუსეთის ხელისუფლების ინტერესები, სტატუს-კვოს შენარჩუნების მიზნით, ერთმანეთს ბევრად ემთხვეოდა. შესაბამისად, ცხინვალს არ სურდა სოციალური და პოლიტიკური პრივილეგიების, რუსეთს კი საქართველოზე და, ზოგადად, კავკასიაზე გეოპოლიტიკური გავლენის დაკარგვა.

ცხინვალში კონფლიქტის „ცხელი" ფაზის მიმდინარეობისას (1990-1992 წლები) უკვე გამოჩნდა, რომ ეს რეგიონი „ინერციით" განაგრძობს მოსკოვზე ორიენტაციას, რადგან სუვერენულ, დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილი ახალი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული რეალობა მოითხოვდა ქვეყანაში ახალი სოციალური, კულტურული და პოლი-

ტიკური კავშირების დამყარებას. რა თქმა უნდა, ყოფილი ავ-ტონომიური ოლქის პოლიტიკურმა ელიტამ ყველაფერი გაა-კეთა, რომ მას ეს ცვლილებები არ შეხებოდა. ამისათვის მათ მხარში აქტიურად ამოუდგა ადგილობრივი ეთნიკური ოსი და ნაწილობრივ იქ მოსახლე სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარ-მომადგენლები, რომლებმაც, ერთი მხრივ, ქართული ენა არ იცოდნენ, მეორე მხრივ კი მშობლიური ენაც ავიწყდებოდათ.

ტოტალიტარიზმის წნეხმა, რომელიც საბჭოთა კავშირ-ში მცხოვრებმა ყველა ხალხმა მეტ-ნაკლებად საკუთარ თავზე იწვნია, განსაკუთრებით უარყოფითი გამოვლინება ჰპოვა პე-რიფერიებში, მათ შორის საქართველოშიც.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიის არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ფლობდა ქართულ ენას, ხო-ლო 80-90-იანი წლების მიჯნაზე შექმნილმა საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა სიტუაციამ, საინფორმაციო იზო-ლირებამ (ხელოვნურად მკვეთრად შეიზღუდა თბილისიდან მიწოდებული ინფორმაციის მოცულობა) და სხვა ფაქტორებმა გაზარდა ეთნიკურობაზე მათი აქცენტირებისა და ქცევის მო-დელები.

ასეთ ვითარებაში ოსებმა გამოსავლის ძიება, ბუნებრი-ვია, რუსეთზე ორიენტაციით დაიწყეს, მშობლიური ენის და კულტურის შესწავლისა და ისტორიულ სამშობლოსთან - ჩრდილოეთ ოსეთთან კავშირების გააქტიურების სახით, რაც საბოლოოდ „ორი ოსეთის" გაერთიანების იდეის პროპაგანდა-ში გადაიზარდა. ეს უკანასკნელი კი, საქართველოს სხვა რე-გიონებში მცხოვრები ოსების შეფასებით, „უპირველეს ყოვ-ლისა, ოსი ხალხის სრული გადაგვარებისა და განადგურები-სათვის არის მოგონილი" [თოთაძე, 2009, 146].

რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 90-იანი წლების ქართველი საზოგადოების უმეტესი ნაწილის ცნობიე-რება არ გამოირჩეოდა სამოქალაქო თვითშეგნების მაღალი დონით. ამიტომ ზვიად გამსახურდიას მმართველობის რადი-კალური ნაციონალიზმით შეზავებულმა სტილმა საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის იდეიდან ეთნიკური უმცირესობების გამორიცხვა გამოიწვია. დაძაბულობის ზრდის შედეგად „სამ-ხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის სეპარატისტულმა ძალებმა ცენტრის იგნორირება დაიწყეს, შედეგად კონფლიქტური სი-ტუაციები შეიქმნა და ვითარება შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. ასეთ ვითარებაში ეთნიკურ უმცირესობათა ის წარ-

მომადგენლები, უფრო მეტად ოსები, რომლებიც ავტონომიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ, ქართველმა საზოგადოებამ დამნაშავეებად აღიქვა, მათ მკვეთრი დისკომფორტი შეექმნათ და საბოლოოდ, საქართველოს დატოვება მოუწიათ [ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება საქართველოში, 2007-2008; 15].

ცხადია, ეს იყო ტრაგედია და უდიდესი შეცდომა, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ დაუშვა. თუმცა, მოგვიანებით მათ გააცნობიერეს თავიანთი შეცდომა და მის „გამოსწორებას" 1992 წელს შეეცდნენ - ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ეს შეცდომა აღიარეს და ეთნიკურ ოსებს მომხდარი ტრაგედიის გამო ბოდიში მოუხადეს.

სამწუხაროდ, ცხინვალის დე ფაქტო სეპარატისტული ხელისუფლება ქართულ მხარესთან ურთიერთობას სულ უფრო ძაბავდა. 2001 აპრილში მიღებული „სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველ მუხლში ხაზგასმულია, რომ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არის დამოუკიდებელი, სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფო", რაც მათი მხრიდან იმის მიმანიშნებელია, რომ კონფლიქტის მოგვარებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამავე დროს, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ეროვნულ უმცირესობებს შეუქმნას პირობები ახალ ქართველ საზოგადოებაში რეინტეგრირებისათვის. საქართველოში მოქმედი, 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის მერვე მუხლის თანახმად, „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში — აფხაზური", 85-ე მუხლში კი ჩაწერილია, რომ „სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი", ხოლო „იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა".

1997 წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულება „საქართველოში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახელმწიფო პროგრამის შესახებ", რომლის საფუძველზე შემუშავდა

პრაქტიკული სამოქმედო პროგრამები. ისტორიკოსი ვ.მერკვილაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ენებზე მოქმედ საშუალო სკოლებში „პირველი კლასიდანვე იწყება სახელმწიფო ენის შესწავლა XI კლასის ჩათვლით. დაწესდა, რომ მოსწავლე სიმწიფის ატესტატს ისე ვერ მიიღებს, თუ ქართულ ენასა და ლიტერატურაში სახელმწიფო გამოცდას არ ჩააბარებს" [მერკვილაძე, 2000, 77].

საქართველოში სახელმწიფო ენის მნიშვნელობის გაზრდის გამო თავი იჩენა ობიექტურმა პროცესმა, რომელიც ქვეყანაში არაქართული საშუალო სკოლების შემცირებითაა განპირობებული. მაგალითად, თუ 1998 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 9 რუსულ-ოსური, 2 ქართულ-რუსულ-ოსური და 4 ოსური ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლა (განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში. 1998,18), 2002 წელს უკვე საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ამგვარი სკოლების არსებობას არ აფიქსირებს, აღინიშნება მხოლოდ სკოლამდელი დაწესებულებები. მაგალითად, ოსურ ენაზე 2001 წელს არსებობს ერთი ასეთი დაწესებულება 30 აღსაზრდელით, 2002 წელს დაწესებულების რაოდენობა იგივეა, მაგრამ აღსაზრდელთა რაოდენობა ორითაა გაზრდილი [განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში. 1998, 30].

ამასთან ერთად საქართველოში ამჟამადაც ჯერ კიდევაა შემორჩენილი რამდენიმე სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც ოსური ენა ისწავლება როგორც საგანი. ისტორიკოსი გ.სორდია აღნიშნავს, რომ ლაგოდეხსა და ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონაში (როგორც ამ სტრიქონების ავტორისათვის გახდა ცნობილი, ყვარლის რაიონის სოფელ წინიკაანთსერშიც) ოსური ენა ისწავლება საჯარო სკოლებში, თანაც სავალდებულოა ყველა კლასისათვის (ოთხი საათი კვირაში — I-IV კლასის მოსწავლეებისათვის და სამი საათი — V-XI კლასის მოსწავლეებისათვის) [სორდია, 2009, 15].

2004 წლიდან საქართველოს განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმა ითვალისწინებს ქვეყნის საგანმანათლებლო სფეროს ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, მაგრამ USAID-ის შეფასებით, „ენობრივი პრობლემების გამო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტებისათვის უმაღლესი განათლების მიღება ხშირად ხელმიუწვდომელია [ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შე-

ფასება საქართველოში, 2007-2008, 63]. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2010 წელს, საქართველოს განათლების სამინისტროს ხელშეწყობით, 500-ზე მეტი აბიტურიენტი საქართველოს უმაღლეს სასწავალებლებში, მათ შორის თითქმის 200 ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ემზადება და ისინი ქართული ენის ერთწლიანი ინტენსიური კურსის გავლის შემდეგ მათ მიერ არჩეულ სპეციალობებზე ჩაირიცხებიან.

ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ეთნიკური ოსების სამოქალაქო ინსტიტუტები, მიმდინარეობს მუშაობა ქართველ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მიზნით. ამისათვის აქტიურად მოღვაწეობს საქართველოში მცხოვრებ "ოსთა ასოციაცია" (ხელმძღვანელი თენგიზ გაგლოევი), რომელიც 2009 წელს ზოგადსამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვნულ საქართველოში" გაერთიანდა. დაარსდა ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა „იბერ-ირონი" (ხელმძღვანელი მ.ცაბოშვილი), ოს ქალთა საერთაშორისო ასოციაცია (ხელმძღვანელი ი.ტიგიევა) და „კავკასიური მოზაიკა" (ხელმძღვანელი ნ.ბეპიევი).

ეროვნული უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით აქტიურად მუშაობს „კავკასიური სახლი" (ხელმძღვანელი ნაირა გელაშვილი) და მისი ოსური განყოფილება. აქ ხშირად ტარდება შერეულ ქართულ-ოსური ოჯახების წარმომადგენელთა შეხვედრები, ხშირია ოსი ახალგაზრდების სტუმრობის ფაქტებიც, იმართება ოსი მწერლების - კოსტა ხეთაგუროვის, გიორგი ბესტაუთის, ვერა იადაროვიასა და სხვების საიუბილეო საღამოები. აღსანიშნავია ისიც, რომ „კავკასიური სახლის" ხელმძღვანელის ნ.გელაშვილისა და მისი თანამშრომლების თამარ უჯუხუს და ნაირა ბეპიევის თაოსნობით ცხინვალშიც არაერთხელ ჩატარებულა ერთობლივი ღონისძიებები (2008 წლამდე).

ამრიგად, საქართველოში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ეთნიკური ოსები, ქართველ საზოგადოებაში მათი საკმაოდ მაღალი დონის ადაპტაციის გამო, რაიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემას არ ქმნიდნენ, მაშინ როდესაც ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსებისათვის ეთნოსთა დამახასიათებელი ფაქტორების აქტუალიზაციამ საქმე 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომამდე მიიყვანა.

ეთნონაციონალიზმის გააქტიურება 2008 წლის აგვისტოში

ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ ოსებს რაც უფრო ნაკლებად ჰქონდათ ქართულ გარემოსთან კავშირები, მით უფრო მეტად მჟღავნდებოდა მათი ეთნიკური კუთვნილების განცდა. თითქმის მთელი XX საუკუნის მანძილზე და დღემდე ამ რეგიონში ოსური ენის, კულტურის, ისტორიულ სამშობლოსთან (ჩრდილოეთ ოსეთთან) და ა.შ. კავშირების განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობოდა, თუმცა ამ ცოდნისა და გამოცდილების რეალიზების შესაძლებლობა შეზღუდული იყო, რადგან ოსურ ენას ("ირონ-ჟვზაგ") ადამიანი ცხინვალშიც კი მხოლოდ საყოფაცხოვრებო დონეზე თუ გამოიყენებდა - იქ განსაკუთრებული ყურადღება რუსულ ენას ექცეოდა და ექცევა. ოსური ენა 1960-1980-იან წლებში მაღალი დონით ურბანიზებულ თვით ჩრდილოეთ ოსეთშიც უკვე „ნაკლებად მუშაობდა". ასეთ ვითარებაში, როცა ოსური ენა რუსულმა გადასძალა და „ირონ-ჟვზაგ"-ს გასაქანი აღარ ჰქონდა, ცხინვალის ოსურმა პოლიტიკურმა ელიტამ „ხსნა" ქართულ გარემოსთან დისტანცირებაში დაინახა.

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებმა კიდევ უფრო დაამძიმა ეს სიტუაცია. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, 1990-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ ეთნიკური ბალანსი ამ რეგიონში მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქიდან დანარჩენ საქართველოში იძულებით გადაადგილებული და, შესაბამისად, დევნილის სტატუსის მქონე 12.496 ადამიანი იყო, აქედან 99% -ეთნიკური ქართველი. ამ ომის შედეგად კი მარტო ახალგორის რაიონის მუნიციპალიტეტიდან 13.260 დევნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დარეგისტრირებული. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს, რომ ქართულმა მოსახლეობამ მთლიანად დატოვა ქსნის ხეობის სოფლები და საცხოვრებელი ბინები [აგვისტოს ნანგრევებში, 2009, 10-11].

რაც შეეხება თვით ეთნიკურ ოსებს ცხინვალის რეგიონში (ანუ თვით ქ.ცხინვალი, ზნაურისა და ჯავის რაიონები), როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი რაოდენობა 20-25 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

მთლიანად აგვისტოს ომის შედეგად, აღნიშნავს ა.თოთაძე, 192 ათასი ადამიანი გახდა დევნილი, რუსეთისა და „სამხრეთ ოსეთის" მხრიდან 300 ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 500 დაიჭრა, ხოლო საქართველომ დაღუპულების სახით 364 ადამიანი დაკარგა, 2234 კი დაიჭრა [თოთაძე, 2009, 145].

ამრიგად, 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის რეგიონში დატრიალებული ტრაგედია იმ უგუნური ეროვნული პოლიტიკითაა გამოწვეული, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დანახორციელა ამ რეგიონში და რომლის შედეგებიც დღესაც ასე მძიმე ტვირთად აწევს ამ რეგიონის მოსახლეობას. ექსპერტ-კონფლიქტოლოგ ალექსანდრე რუსეცკის მართებული მოსაზრებით, ამგვარი სიტუაცია უარყოფითად მოქმედებს ცხინვალის მოსაზღვრე ოთხ რეგიონულ სტრუქტურებზე, მათ ეკონომიკაზე. ესენია რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, ჩრდილოეთ ოსეთი - ალანია და საქართველოს სამი ადმინისტრაციული მხარე - რაჭა-ლეჩხუმი, შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი.. მისი აზრით, ამ ოთხ რეგიონს მთელი ამ ხნის განმავლობაში არანორმალური სოციალურ-ეკონომიკური კავშირები აქვს, რადგან ცხინვალის რეგიონი კონფლიქტამდე იყო და კონფლიქტის შემდეგაც არის ამ სისტემის შემადგენელი ნაწილი ["პრობლემი ი პერსპეკტივი რაზვიტია გრუზინო-ოსეტინსკიხ ოტნოშენიი", 2004, 70].

ასეთ ვითარებაში თვით ცხინვალშიც, რა თქმა უნდა, საქმე უკეთესობისაკენ არ წასულა, რაც კარგად ჩანს ცხინვალელი ჯულიეტა ქოზიევას მიერ 2010 წლის 13 ივლისს გაზეთ "იუჟნაია ოსეტია"-ში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაში „ოსური ენა – პრობლემა?" მისი აზრით, ოსური ენის შენარჩუნება ოსი ხალხის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემაა. ავტორი აღნიშნავს, რომ, არაოფიციალური მონაცემებით, სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის 90%-სათვის მეტყველება რუსულ ენაზე უფრო ადვილია, ვიდრე ოსურზე. იმავე პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ რამდენიმე თვის წინათ ცხინვალში მყოფ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენელებს შეხვედრა ჰქონდათ სამხრეთ ოსეთის პარლამენტის წევრებთან, საუბრის დროს ოსური ენის მდგომარეობაზე უმსჯელიათ. სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთ დეპუტატს ასეთი რჩევა გამოუთქვამს: „არ ვთვლი, რომ ოსურ ენას გადაშენება ემუქრება და რომ ამჟამად ოსურ ენაზე არ

უნდა იფიქროთ,... მაგრამ ახლა თქვენ უფრო სერიოზული პრობლემები გაქვთ – სახლების მშენებლობა, გზების გაყვანა-შეკეთება და ასე შემდეგ". სტატიის დასასრულს ჯ.ქოზიევა აღნიშნავს, რომ რუსი სტუმრების კიდევ ერთი რჩევა ასეთი იყო: „ოსური ენის პრობლემებით თქვენ მაშინ უნდა იყოთ დაკავებული, როცა სამხრეთ ოსეთი ცხოვრებას საკუთარი ფინანსებით დაიწყებს".

კიდევ ერთი ფაქტი რუსეთთან დამოკიდებულებისა, რომელიც ამ შემთხვევაში ოსური ელიტის პოზიციას გამოხატავს: ცხინვალში გამოცემულ გაზეთ „იუჟნაია ოსეტიაში" გაშუქებულია დამოუკიდებლობის აღიარების მეორე წლისთავი და ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია ცხინვალის მედიაცენტრ „ირ"-ის მიერ ორგანიზებული „მრგვალი მაგიდის" ანგარიში. ამ შეხვედრაზე მე-4 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარემ ზნაურ გასიევმა, აღნიშნა, რომ „რუსეთის მიერ ჩვენი აღიარება ისაა, რისთვისაც ვიბრძოდით ჩვენ და ჩვენი წინაპრები, მაგრამ აღიარების შემდგომი ორი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ, რუსეთის მიერ ჩვენდამი გამოვლენილი კეთილგანწყობის მიუხედავად, მე მაინც არ ვისურვებდი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით დარჩენას: რესპუბლიკაში თავს იჩენს რღვევის პროცესები:... აღიარებით გამოწვეული აღტაცება ჯერ ყველაფერი არ არის, საჭიროა ძლიერი ხელისუფლება და ამ ხელისუფლებას რუსეთის ხელისუფლება უნდა ერქვას!" ["იუჟნაია ოსეტია", 2010].

ამრიგად, ეთნიკური ოსების ქართულ გარემოსთან დისტანცირების შედეგები სახეზეა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნიშნით ცხინვალელი ეთნიკური ოსების „თვითგამორკვევა" კიდევ ერთხელ სრულ ფიასკოს განიცდის. როგორც რუსი ანალიტიკოსი ივან სუხოვი აღნიშნავს გაზეთ "ვრემია ნოვოსტეი"-ში 2008 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „სხვისი მიწა: საქართველო და რუსეთი 2008 წლის ომის შემდეგ": "გამოცოცხლდა უკვე მიმქრალი იდეა ეთნიკური სეპარატიზმისა, რომელიც 1990-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში გაერრთიანებული მოძრაობის თანაყვავილედით წარმოჩინდა".

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ცხინვალური „თვითგამორკვევა" მიუღებელია ყველა მხარისათვის და, პირველ რიგში, ამ რეგიონში მცხოვრები ოსებისათვის, რომლებიც, დროებით „სახელმწიფოებრივ მუნდირში

გამოწყობილები”, გეოპოლიტიკური თამაშების მსხვერპლნი ხდებიან.

საქართველოს ხელისუფლება და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია

ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებული ძვრები, რომელიც დემოკრატიის განვითარებაში, ადამიანის უფლებების დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში გამოვლინდა, გვაძლევს იმედს, რომ ეროვნული უმცირესობების სოციალური აქტიურობა ქართულ გარემოში ინტეგრაციის მიზნით დასრულდება ახალი სოციუმის - „ქართველიანის” ჩამოყალიბებით. ასეთი გაერთიანება მიმზიდველი იქნება ეთნიკური ოსებისათვის, რადგან ისინი ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად შესისხლხორცებული არიან ქართულ კულტურასთან, ცხოვრების წესთან და თვითშეგნებითაც ბევრად ემსგავსებიან მათ.

როგორც INFO Peace-ს აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ბენდიანიშვილი აღნიშნავს, „საყურადღებოა, რომ ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ ქართულ მოსახლეობას საქართველოს სხვა რეგიონებში დასახლებულ ოსებთან კონფლიქტი არ აქვს”. მისივე დაკვირვებით, ისინი მათთან თანამშრომლობის ფორმებს არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე ხედავენ [“პრობლემი ი პერსპეკტივი რაზვიტია გრუზინო-ოსეტინსკიხ ოტნოშენიი”, 2004, 241].

საქართველოში მომხდარი დადებითი ცვლილებების აღიარებას ვერ მალავენ რუსი მკვლევრები ვ.ა.ზახაროვი, ა.გ.არეშევი, ე.გ.სემერიკოვა, რომლებიც 2010 წელს გამოცემულ ერთობლივ მონოგრაფიაში „აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარების შემდეგ: ისტორია და თანამედროვე კონტექსტი“ აღნიშნავენ, რომ „2003 წლის შემდგომ ქართული საგარეო პოლიტიკის ევროპული და ევროატლანტიკური მიმართულებით გააქტიურებამ საქართველოს პოლიტიკური ელიტა მიიყვანა ადამიანის უფლებების, პლურალიზმის, მოქალაქეთა თანასწორობის (მათი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად), ეთნიკური უმცირესობის საკითხების დაცვამდე” [ზახაროვი, არეშევი, სემერიკოვა; 2010, 229].

ამავე დროს რუსი მკვლევრები აკრიტიკებენ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბერს მიღებულ დადგენილებას, რომელიც ეხება ჩარჩოკონვენციას „ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ". კერძოდ, მონოგრაფიის ავტორები მიანიშნებენ, რომ ჩარჩოკონვენციის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ ეთნიკურ უმცირესობებზე, რომლებიც „საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად არიან დასახლებული" და რომ ამით ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა თითქმის ნახევარი, რომელიც დისპერსიულად (არაკომპაქტურად) ცხოვრობს, აღნიშნული იურიდიული დოკუმენტის მიღმა რჩება. შეზღუდულია ცალკეული მუხლების ძალა და ა. შ. [ზახაროვი, არეშევი, სემერიკოვა; 2010, 230].

სამწუხაროდ, რუსი მეცნიერები ყურადღებას არ ამახვილებენ საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ზ" პუნქტზე, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველოს ხელისუფლება „კონვენციის დებულებების სრულად და გარანტირებულად დაცვას ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე შეძლებს მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული კონფლიქტის შემდეგ" [საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ", 2005 წლის 13 ოქტომბერი].

ამჟამად საქართველოში, USAID-ის შეფასებით, „კონსტიტუცია იცავს ეროვნული უმცირესობების უფლებას, გამოიყენონ მშობლიური ენა, კულტურა და რელიგიური სიმბოლიკა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქართველოში ქართული ენა განსაზღვრულია როგორც სახელმწიფო ენა (აფხაზური ენა - აფხაზეთში) და, კანონის თანახმად, საჯარო სამსახურში კომუნიკაციის ერთადერთი ენაა. თუმცა, პრაქტიკულად, იმ რეგიონებში, სადაც ძირითადად ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ, ადგილობრივ თვითმმართველობებში შესაძლებელია უმცირესობების ენების გამოყენება. სახელმწიფო უზრუნველყოფს დაწყებით განათლებას უმცირესობების ენებზე, თუმცა ეს უმაღლეს განათლებაზე არ ვრცელდება". ამავე ორგანიზაციის მკვლევართა კითხვაზე, არსებობს თუ არა უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ყოველდღიური ინტერაქციის რაიმე საკანონმდებლო ბარიერი, პასუხი ასეთია: „არც ერთი საკანონმდებლო აქტი საღ სოციალურ ინტეგრაციას ხელს არ უშლის. ინტეგრაქცია ძირითადად ინ-

ფრასტრუქტურული და გეოგრაფიული მიზეზების გამო არის შეზღუდული" [ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება საქართველოში -2007-2008, 93-94].

ამავე დროს აღსანიშნავია საქართველოში ბთკკ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფის მოსაზრება, რომ „ბოლო წლებში მთავრობის ყურადღება ეთნიკური უმცირესობების მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა", მაგრამ, მათივე აზრით, „კვლავ რჩება სერიოზული პრობლემები გრძელვადიანი სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავების კუთხით, რომლის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საქართველოში დემოკრატიისა და ეფექტური მმართველობის გაძლიერებას" [ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკური ანალიზი, 2008, 5].

საქართველოს განვითარება აღნიშნული მიმართულებით მით უმეტეს საჭიროა, რადგან, USAID-ის კვლევის ჯგუფის მონაცემებით, „მოსახლეობის უმრავლესობას არ გააჩნია რაიმე ჩამოყალიბებული ხედვა საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მომავლის შესახებ: 43% თვლის, რომ ისინი უნდა დარჩნენ საქართველოში და ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, იმავდროულად კი კულტურული თვითმყოფადობა უნდა შეინარჩუნონ; 32% მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დარჩნენ საქართველოში და ასიმილირებულ იქნენ ქართველი საზოგადოების მიერ; 6,1% ფიქრობს, რომ ეროვნული უმცირესობები უნდა განიდევნონ ქვეყნის ტერიტორიიდან" [ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება საქართველოში -2007-2008, 93].

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნული პრობლემის დაძლევას ხელს შეუწყობს საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ". ამ სამართლებრივი აქტით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიები აღიარებულია ოკუპირებულად 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად. კანონი ითვალისწინებს ამ ტერიტორიებზე განსაკუთრებული მდგომარეობისა და სამართლებრივი რეჟიმის შემოღებას. ამ იურიდიული დოკუმენტით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე იზღუდება ეკონომიკური საქმიანობა, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, თავისუფლად გადაადგილება და სხვა. კანონით დაწესებულია განსაკუთრებული რეჟიმის მოქმედება ოკუპირე-

ბულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე.

აღნიშნულ კანონთან შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის იანვარში მიღებული მნიშვნელოვანი დოკუმენტი „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით". მის პრეამბულაში ნათქვამია, რომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზანია ისეთი მომავლის უზრუნველყოფა, როდესაც ქვეყნის ყოველი მოქალაქე ისარგებლებს დემოკრატიული მმართველობის პრივილეგიებით, მსოფლიოში ინტეგრირებული განვითარებული ეკონომიკით და იცხოვრებს ტოლერანტულ, მრავალეთნიკურ და კულტურულად მრავალფეროვან საზოგადოებაში". იქვე აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) მოსახლეობისათვის მისაწვდომი გახადოს ყველა ის სარგებელი, რაც მოაქვს სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების შედეგად მიღწეულ პროგრესს და ქვეყნის უფრო ღრმა ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებსა თუ ინსტიტუტებში. როგორც საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, ამით მრავალეთნიკურ და კულტურულად მრავალეროვან საზოგადოებას კეთილდღეობისა და უსაფრთხოების კიდევ უფრო მყარ გარანტიებს შეუქმნის.

დოკუმენტში დასახული მიზნების მისაღწევად შემუშავებულია გრძელვადიანი გეგმა, რომელიც ასახავს გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობას, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ინტეგრირებას დანარჩენ საქართველოსთან; გზების, წყლის, ტელეკომუნიკაციებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. დოკუმენტში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს - მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობას: „სწავლის გაგრძელების გარანტიებს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ან საზღვარგარეთ ცოდნის მიღების შესაძლებლობას"; აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთათვის ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, ჩაერთონ როგორც საქართველოს ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომ საერთაშორისო-საგანმანათლებლო და გაცვლით, ასევე საქართველოს პრეზი-

დენტის საგრანტო და სხვა სახელმწიფო პროგრამებში". დოკუმენტი მოიცავს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო დიპლომატიის, კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დაცვა-შენარჩუნების შთამბეჭდავ მიმართულებებსაც, რომელთა განხორციელების გზები საკმაოდ მრავალმხრივია: საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება, თანამშრომლობა საოკუპაციო ძალასთან ჟენევის ფორმატით და ა.შ. [იხ. „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით"; 2010 წლის იანვარი].

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოების ჩართულობა კონფლიქტურ რეგიონებში (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში), ზემოაღნიშნული სტრატეგიის განხორციელების მიზნით, პერსპექტიული და სავსებით განხორციელებადია. ფაქტობრივად, ეს დოკუმენტი ითვალისწინებს და ეყრდნობა საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ უკვე შექმნილ საკანონმდებლო ბაზას და ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის უმცირესობებთან ურთიერთობის გამოცდილებას.

როგორც ზემოაღნიშნული მასალებიდან ჩანს, საქართველოში სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე (1990-2003 წლები) ოსების და სხვა ეროვნული უმცირესობების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პრობლემებს სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. რბილად რომ ვთქვათ, მათი სოციალური აქტიურობა დაბალი იყო, რაც ხელს უწყობდა ქვეყანაში „ეთნიკურობის" გააქტიურებას.

2003 წლიდან ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ საერთაშორისო აქტებთან საქართველოს მიერთება და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები ვითარებას საგრძნობლად ცვლის. ამ მხრივ ნიშანდობლივი ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ცხინვალის რეგიონის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სხვა რაიონებში მცხოვრებ ოსებს ქვეყანა არ დაუტოვებიათ, პირიქით - შეინიშნება მათი „სოციალური" აქტიურობა (არასამთავრობო ორგანიზაციების სახით) ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით და სხვა.

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში: გზა ახალი ზეეთნიკური ერთობისაკენ

საქართველოში მიმდინარე სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების დიფერენცირებული ხედვა, რომელიც არ უნდა იყოს გაიგივებული სოციალურ ცხოვრებასთან ზოგადად. დასავლური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობა წარმოდგენილია სამნაწილიანი მოდელით: სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო და ეკონომიკა.

ერთი მხრივ, მათი გამიჯვნის აუცილებლობა და, მეორე მხრივ, მათი ურთიერთმიმართების ორგანიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია საშუალებას იძლევა, ადამიანმა გააცნობიეროს ამ პროცესში ჩართულობის აუცილებლობა და განსაზღვროს თავისი აქტივობა. თუ ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს სახელმწიფო და საზოგადოება გაიგივებული აქვს და ამით კრიტიკული პოტენციალი დაცემულია, დასავლეთში ისინი ბინარულ ოპოზიციაში არიან. ამასთან ერთად იქ გაცნობიერებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების გარდა, არის პოლიტიკური (პარტიები და სხვა) და ეკონომიკური (ფირმები, საწარმოო ორგანიზაციები და სხვა) საზოგადოებები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მატარებელი აქტორები არიან. ამავე დროს პოლიტიკური საზოგადოება გვევლინება შუამავლად სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, ჩვენთან ძალისხმევა ცალმხრივად მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების ცალკეული ელემენტების ასოციაციების, ინსტიტუტების შექმნისაკენ, მაგრამ ნაკლებად ზრუნავენ საბაზრო ეკონომიკის პროექტის შესაქმნელად. არ გვაინტერესებს, რა ფორმით იცვლება სახელმწიფო საკუთრება, სახელმწიფო კონტროლი და ა.შ. გვაქვს თუ არა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პროექტი სახელმწიფოსთან მიმართებაში და სხვა.

გასაცნობიერებელია, რომ საბაზრო ეკონომიკის შექმნის პროცესში დაშვებული გარკვეული შეცდომების „წყალობით” გამოთავისუფლებული ძალები საფრთხეს უქმნის საქართველოში სოციალურ სოლიდარობას და სამართლიანობას. ამ

შემთხვევაში რაიმე ეროვნულ კონსოლიდაციაზე საუბარი უკვე პრობლემური ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად გარკვეულწილად გაზიარებულია დასავლური გამოცდილება, ეროვნული კონსოლიდაციისაკენ გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. ამჟამად მოსახლეობის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, სოციალურ-კულტურული თანამშრომლობის მიზნით, შექმნილია საკანონმდებლო ბაზა და მიმდინარეობს მისი რეალიზება. იმისათვის, რომ მომავალში შემცირდეს საქართველოში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემები, საჭიროა შემუშავდეს ქართულ გარემოში ახალი „ზეეთნიკური" ერთობის მოდელი ან პროექტი, რომელიც დაფუძნებული იქნება როგორც ისტორიული თანაცხოვრების გამოცდილებაზე, ისე დღევანდელი გამოწვევების ობიექტურ გააზრებაზე. ასეთ „ზეეთნიკური" ერთობის მოდელს, „ქართველიანი" (მრავლობითში „ქართველთთანი" ან „ქართველიანები") შეიძლება ეწოდოს, რომლის არსი, ქართული იდეის გათვალისწინებით, სწორედ რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის საყოველთაო ინტეგრაციაა. თვით ეს ტერმინიც გარკვეულწილად მიგვანიშნებს საქართველოს საზოგადოების სამომავლო სოციალურ-კულტურული ინტეგრაციის ხასიათზე, რომლის დროსაც მისი ყოველი წევრი (ეროვნული კუთვნილების მიუხედავად) მოტივირებული იქნება, ხელი შეუწყოს ქვეყნის დემოკრატიზაციის შემდგომ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

აგვისტოს ნანგრევებში - 2009. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევის შესახებ. თბილისი.

გაბარაევი, 1969 – Габараев С. Ш. (ред.), Очерки истории Юго-Осетии. В 2-х тт. Цхинвали, 1969.

გაგლოითი, 1996 – Гаглойти Ю. С., Проблемы этнической истории южных осетин, Цхинвали.

გაგლოითი, ჯიოევი, ჯუსოითი, პუხაევი, ტეხოვი, ჩიბიროვი, 1995 – Гаглойти Ю., Джиоев М., Джусойти Н., Пухаев К., Техов Б., Чибиров Л., Из истории Южной Осетии 1995/http.www.iriston.ru

განათლება, მეცნიერება და კულტურა საქართველოში: 1998-2006. სტატისტიკური კრებული. თბილისი.

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკური ანალიზი - 2008. ბთკკ - პოლიტიკური კვლევის ჯგუფი.

ეთნიკური უმცირესობების პროგრამა. DFID. თბილისი.ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება საქართველოში: 2007-2008. USAID. თბილისი.

ვადაჭკორია, 1998 – შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1921-1923), თბილისი.

ვანეევი, 1989 – Ванеев З., Избранные работы по истории осетинского народа, Цхинвали.

ზახაროვი, არეშევი, სემერიკოვა, 2010 - Захаров В.А. Арешев А.Г. Семерикова Е.Г. - «Абхазия и Южная Осетия после признания: исторический и современный контекст». Москва.

თოგოშვილი, 1988 – Тогошвили Г., Вопросы истории народов Кавказа, Тбилиси.

თოთაძე, 2006 – ა. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბილისი.

თოთაძე, 2009 – ა. თოთაძე, საქართველოში: მითი და რეალობა, თბილისი.

თოთაძე ა. 2009 - საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. თბილისი.
თოიძე, 1994 – Тоидзе Л., Образование осетинской автономии в Грузии, Тбилиси.
თოფჩიშვილი, 2006 – Топчишвили Р., Грузино-осетинские этнографические очерки, Кутаиси.
თოფჩიშვილი, 2009 – Топчишвили Р., Осетины в Грузии: миф и реальность, Тбилиси.
ითონიშვილი, 2002 – ვახტანგ ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი.
"იუჟნაია ოსეტია" 2010, 26 აგვისტო.
"კავკასიის არქიპელაგი: მითი და რეალ-პოლიტიკა", 2009 - «Архипелаг Кавказ: мифы и реал-политика. 2009, Тбилиси.
"კავკაზსკიი აკცენტ", 2010 - «Кавказский акцент» - общественно-политический журнал. №1. Тбилиси.
კოჩიევა, მარგიევი — 2005 - Кочиева И. Маргиев А. - «Грузия. этнические чистки в отношении осетин». Москва.
კოპალიანი, კვიციანი, 2001 – ემილ კოპალიანი, ჯონი კვიციანი, კავკასია XX საუკუნეში, თბილისი.
ლორთქიფანიძე, მუსხელიშვილი, 2008 – მ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელი რუსი ხალხის ისტორიაში. ღია წერილი რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ა. პუტინს // გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 13 სექტემბერი.
მერკვილაძე ვ. 2000 - „სახელმწიფო ენა და ეროვნული უმცირესობანი" // „დემოგრაფია, 1 (2), თბილისი.
ჟორჟოლიანი, თოიძე, ლეკიშვილი, ხოშტარია-ბროსე, 1995 – Жоржолиани Г., Тоидзе Л., Лекишвили С., Хоштария-Броссе Э., Исторические и политико-правовые апсекты грузино-осетинского конфликта, Тбилиси.
"პრობლემი ი პერსპეკტივა რაზვიტია გრუზინო-ოსეტინსკიხ ოტნოშენიი",2004 - Проблемы и перспектива развития Грузино-осетинских отношении, Тбилиси.
"პსევდოკონფლიკტი ი კვაზიმიროტვორჩესტვო ნა კავკაზე", 2009 - Псевдоконфликты и квазимиротворчество на Кавказе. Тбилиси.
საქართველოს პრეზიდენტის არქივი, 1921-1991.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1987 – Народное хозяйство Грузинской ССР, Тбилиси.
საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.
საქართველოს პარლამენტი. 2005 წლის 13 ოქტომბრის დადგენილება „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ".
საქართველოს პარლამენტი. 2008 წლის 23 ოქტომბრერს მიღებული კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ".
საქართველოს მთავრობა. 2010 წლის 27 იანვრის დადგენილება „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით".
სონღულაშვილი, 2002 – ა. სონღულაშვილი, ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში, თბილისი.
სორდია გ. 2009 - ოსები საქართველოში. თბილისი.
ფუტკარაძე თ. 2001 - ეთნოკულტურული პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონებში. ბათუმი.
ქართულ და ოს ხალხთა ურთიერთობის ისტორიიდან, 1991 – Из истории взаимоотношений грузинского и осетинского народов (заключение комиссии по изучению статуса Юго-Осетинской области), Тбилиси.
ქირია, 2005 – ზამირა ქირია, ოსთა საკითხი და ქართული სინამდვილე 1921-1940 წლებში, თბილისი.
შნირელმანი, 2003 – Шнирельман В. А., Войны памяти, Мифы, идентичность и политика в Закавказье, М.
ციმბურსკი, 2001 – Цымбурский В., Северная Осетия в первой половине 90-х: попытка государственности в геополитической и социально-функциональном ракурсах // Этнический национализм и государсвенное строительство, М.
ცხოვრებოვა, 1979 – Цховребова З. Д., Топонимия Южной Осетии в письменных источниках, Тбилиси.
ჩიბიროვი, 1984 – Чибиров Л. А., Древнейшие пласты духовной культуры осетин, Цхинвали.
ძიძოევი, 2002 – Дзидзоев В. Д., Национальная политика: уроки опыта, Владикавказ.
ჭიჭინაძე, 1916 – ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ, თბილისი, 1916.
ხაინდრავა ნ. 2008 - ეთნიკური უმცირესობები: ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი. თბილისი.

Национальные меньшинства в Грузии в XX-XXI вв.(этнические осетины и проблема социально-культурной интеграции)

В работе, состоящей из двух глав, анализируется проблема социально-культурной интеграции этнических осетин в Грузии в XX-XXI вв. В ее первой главе отмечается, что осетины в Грузии еще до XX в. были хорошо адаптированы и интегрированы в грузинское общество. Показано, что в XX в. с приходом большевиков к власти и образованием Советского Союза все чаще стали проявляться проблемы социально-культурной интеграции нацменьшинств в республиках. На основе многочисленных эмпирических материалов проанализирована «согласованная» политика Москвы и Тбилиси по созданию на исконно грузинской земле Юго-Осетинской автономной области, что, тем самым, затрудняло возможность ее интеграции с Грузией, а также в значительной степени мешало социально-культурному развитию этого региона.

Во второй главе исследования показано, как в процессе трансформации независимой Грузии меняется состояние поставленной проблемы. Автор, условно поделив процесс модернизации в стране на два этапа, показывает, что на первом этапе (1990-2003) проблеме интеграции нацменьшинств в Грузии должного внимания не уделялось. На втором этапе (с 2003г. и по настоящее время), считает он, с проведением соответствующей правительственной и общественной политики (присоединение к международным правовым актам и их проведение в практическую жизнь) в стране создаются условия для органической интеграции нацменьшинств в формируемый в Грузии новый социум. Такое новое надэтническое, национальное гражданское образование, считает автор, условно следовало бы именовать «картвелиани».

შინაარსი

თავი I. "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიის "დანერგვა" საბჭოთა საქართველოში 9

საბჭოური მოდერნიზაცია 11

თავი II. პოსტსაბჭოური სოციალური ტრანსფორმაციის პერიოდი 20

ეთნიკური ოსების დემოგრაფიული მდგომარეობა 27

ეთნიკური ოსების „სოციალური" კავშირები 1990-2010 წლებში 31

ეთნონაციონალიზმის გააქტიურება 2008 წლის აგვისტოში 38

საქართველოს ხელისუფლება და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია 41

სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში: გზა ახალი ზეეთნიკური ერთობისაკენ 46

გამოყენებული ლიტერატურა 48

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge